ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 16 დეკემბერი, 2021 №238 (8767) ფასი: 60 თეთრი

ვაზიანის სამხედრო დასახლებაში კაცმა ცოლი და სიდედრი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა

გვ.5

„სააკაშვილის ბიძა, ალასანია ჩამოფრინდა, კულუარული მოლაპარაკებები მიდის“

გვ.2

შალვა ხაჭაპურიძე: „ხაზარაძის საქმის მასალებს ვიცნობ. დანაშაული არ იკვეთება... მოსამართლე მაინც შეუფარდებს პატიმრობას“

ვახტანგ ძაბირაძე: „შერიგება მხოლოდ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლებაა?“

გვ.2

გოგა ხაინდრავა: „უკრაინელი სააკაშვილი რას ლაპარაკობს, აბსოლუტურად არ მაინტერესებს“

გვ.3

„ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური ოპონენტები არ ჰყავს“

„პარლამენტში შესულმა ოპოზიციამ „ოცნებას“ ყველაფერი „გაუპრავა“

გვ.4

ბეჟან ნათელაშვილი: „ხელისუფლებას იმ აქციებით ვერ შეაშინებენ, რომლებიც ახლა ეწყობა“

კორნელი კაკაჩია: „თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, შემდეგი სამიზნე აუცილებლად ჩვენ ვიქნებით“

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „დადგა ჩვენი ინტეგრაციის პროცესის გააქტიურების და კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დრო“

პრემიერ-მინისტრი შარლ მიშელს შეხვდა

გვ.3

გვ.5

შინაგან საქმეთა მინისტრი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის „ბუსტერ“ დოზით აიცრა

გვ.5

გვარამია: „ნამდვილად არ მეგონა, მოსამართლე აცილებაზე უარს თუ იტყოდა“

შსს-მ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 9 პირი დააკავა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელმა მიხეილ სააკაშვილი გამოკითხა

3 ქრამონი: „დროა, ევროკავშირმა კბილები გამოაჩინოს და მჩაგვრელ რუსეთს სანქციების ენაზე ესაუბროს“

5 ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაში ბრალდებულს სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა

6 აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი უკრაინაზე ზეწოლის ფაქტს უარყოფს

„სააკაშვილის ბიძა, ალასანია ჩამოფრინდა, კულუარული მოლაპარაკებები მიდის“

შალვა ხაჭაპურიძე: „ხაზარაძის საქმის მასალებს ვიცნობ. დანაშაული არ იკვეთება... მოსამართლე მაინც შეუფარდებს პატიმრობას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბატონო შალვა, საყოველთაო შერიგების იდეა აიტაცა პოლიტიკურმა სპექტრმა და მიდის ამ საკითხის განხილვა. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ამ იდეის განხორციელება? ვთქვათ, პოლიტიკოსებმა აპატიეს ერთმანეთს, მაგრამ ორივე მხარეს ჰყავს კონკრეტული დაზარალებული. მათ არავინ არაფერს ეკითხება?

– ყოველ საღამოს ვუსმენ თოქ-შოუებში პოლიტიკოსებს, რომლებსაც ეკითხებიან, რას გულისხმობთ თქვენ შერიგებაში, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს. მათ პასუხებს რომ მოუსმინო, კონკრეტულად ვერც ერთი ვერ ლაპარაკობს. ყველა ამბობს იმას, რომ უნდა შევრიგდეთ. ყველა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს, უკან ყავს დაზარალებული. თუ მოქმედი კანონმდებლობიდან გამოვალთ და ვიხელმძღვანელებთ, მაშინ დაზარალებულის ნებართვა გჭირდება, რომ შერიგებას მოყვეს რაღაცა სამართლებრივი აქტი, იგივე ამნისტია თუ ასე შემდეგ. თუ საუბარია პოლიტიკურ ნაწილზე შეთანხმების, მაგალითად, 2012 წელს მსგავსი რაღაც მოხდა, პოლიტპატიმრების სია რომ იყო...

– ახლა ცდილობენ, ეს ყველაფერი სააკაშვილს მოარგონო?

– აქ ცოტა არეულ-დარეულობაა, სიმართლე გითხრათ, ვეღარ გავიგე რა ხდება. ექიმები გამოდიან და კონფიდენციალურ ინფორმაციას ავრცელებენ, სააკაშვილის ფსიქიკურ მდგომარეობაზე საუბრობენ.

– უკვე ისმის კითხვები, რამდენად სწორია, პაციენტის პირად ინფორმაციას რომ ასაჯაროებენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ?

– სხვა კი არაფერი გაუკეთებია მე-12 დაწესებულებას, სააკაშვილის კადრები რომ გაასაჯაროა. მაგაზე ერთი ამბავი ატყდა და სტრასბურში იჩივლეს. გამოდიხარ და ლაპარაკობ მის დიაგნოზზე. იმ კაცს ეკითხებიან, უნდა ასე საჯაროობა, პოლიტიკაშია და აწყობს მის დიაგნოზზე ასე ხმამაღლა საუბარი?!

– საით მიჰყავთ საქმე, რა ხდება?

– ვერ გეტყვით. თუ იქით მიჰყავთ, რომ შეურაცხადია სააკაშვილი და ფსიქიკური პრობლემები აქვს, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, პატიმარი გადაჰყავთ ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, გამოჯანმრთელდება და გადმოჰყავთ ისევ. თუ საუბარია იმაზე რომ დანაშაულის ჩადენის დროს იყოს შეურაცხადი, მაშინ გამოდის, რომ პრეზიდენტი გვყავდა შეურაცხადი. სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, ისეთი სიტუაციები მიდის. რა უნდათ, რა თამაშს თამაშობენ? თუნდაც ამ ხაზარაძის საქმესთან დაკავშირებით, გამოდიან და ამბობენ, რომ ჭუტა წერეთელი არის ავად. კაცო, თუ ავად არის, მაშინ რა გახდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა?! დანიშნე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და იტყვის ის ყველაფერს. ძალიან მარტივ რაღაცაზე ვსაუბრობ, წარადგინე ექსპერტიზის დასკვნა, რომ კაცი არის მძიმე ავადმყოფი და ესაა. იგივე სახელმწიფოს მხრიდან ავიღოთ, გამოდის ამდენი ექიმი და ხმამაღლა აცხადებს, სააკაშვილს აქვს ფსიქიკური პრობლემები, სად არის სახელმწიფო ამ დროს?! სახელმწიფომ უნდა დანიშნოს ეს ექსპერტიზა და გაარკვიოს, როგორია მისი ამჟამინდელი ფსიქიკური მდგომარეობა? როგორი იყო მისი მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის დროს?!

– ამ საქმეში პოლიტიკური კომპონენტი ყველაზე დიდია, ექიმები შეთანხმების გარეშე ამ განცხადებებს ხომ არ გააკეთებენ?

– ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, აქ მიდის მუშაობა იმისკენ, რომ თქვან, სააკაშვილი ფსიქიკურად დაავადებული იყო დანაშაულის ჩადენის დროს, ან ახლა გახდა ავად და საჭიროა მისი ქვეყნიდან გაყვანა სამკურნალოდ. აქეთ მიჰყავთ ეს საქმე. მე თუ მკითხავთ, ძალიან სამართლებრივ აბსურდში შევდივართ. როგორც გავიგე, დღეს სააკაშვილის ბიძა, ალასანია ჩამოფრინდა. აშკარად, ჩვენ რომ არ ვიცით, ისეთი კულუარული მოლაპარაკებები მიდის. ხომ გახსოვთ, სააკაშვილი რომ ჩამოვიდა, გახარიამ გააკეთა განცხადება, მიშა „ქართული ოცნების“ ჩამოყვანილი არისო.

– დღეს ბევრი საუბრობს ამ ვერსიაზე.

– ეს გიორგი გახარიამ თქვა პირველმა, მერე ლამის შეჭამეს, დააბულინგეს და ხმა აღარ ამოუღია. ფაქტი ერთია, ეს სიტუაცია აწყობს ორივე მხარეს. იმხელა პროცესები მიმდინარეობს ჩვენ გარშემო, პირდაპირ გააკეთა რუსეთმა განცხადება, ამერიკის პრეზიდენტს უთხრა რომ საქართველოს და უკრაინის ნატოს წევრობაზე ხელი აიღეთო. ხომ ნახეთ, სამი-სამზე შეხვედრაზე ქართული დროშა ფრიალებდა! ჩვენთან რა ხდება? ჩართავ ტელევიზორს და მიშამ რა ჭამა, როგორ ხასიათზეა... სახელისუფლო არხებიც კი ამით იწყებენ გამოშვებებს. ეს ექიმები შედიან და გამოდიან, მათთან მოსახვედრად 6 თვით ადრე უნდა ჩაეწერო კონსულტაციაზე, სახალხო დამცველმა კი ლამისაა კარავი ჩაიდგას გორის ჰოსპიტალში. უამრავი პატიმარი შიმშილობდა, ვის დაუთმო მცირედი ყურადღება მაინც?! აქეთ გამოიხედავ და ჯანდაცვის მინისტრი აღარა ყავს ქვეყანას, პანდემიით დღეში 80 კაცი კვდება, ეკონომიკას დედა აღარ ყავს, გარბის ქვეყნიდან ხალხი. აბსოლუტურად ყველა პრობლემა გვერდზეა გადაწეული. მათ შორის, ქვეყნის უსაფრთხოებასთან და ქვეყნის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული საკითხებიც. მე მგონია, რომ ძალიან სერიოზული პროცესი მზადდება და სწორედ ამ ალიაქოთით იფარება ყველაფერი. არ გაგვიკვირდეს, ერთ დღესაც გავიღვიძოთ და ნატოსა და ევროკავშირის მაგივრად, ევროაზიულ კავშირში აღმოვჩნდეთ. მე არ ვამბობ იმას, რომ პატიმრის უფლებები არ იყო დაცული, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ამას გარდა, უამრავი პრობლემაა ქვეყანაში.

– სააკაშვილის ბიძა ხელისუფლებასთან კულუარულ მოლაპარაკებას აწარმოებს?

– აქ დასასვენებლად რომ არ ჩამოსულა, ეს ხომ გასაგებია. ცხადია, შიდა პროცესები მიდის, რაც ჩვენთვის უცნობია. ფაქტია, რომ სააკაშვილის თემით გადაიფარა ყველაფერი. ჩართეთ რუსული არხები, ერთი გადაცემა არ გადის, საქართველოზე რომ არ იყოს საუბარი. ფაქტია, რუსეთს რაღაც აქვს დაგეგმილი.

– ანუ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლა ერთი დიდი შეთანხმების ნაწილი იყო?

– ზოგადად არ მიყვარს შეთქმულების თეორიებზე საუბარი. მე მიყვარს საუბარი შედეგებით. შედეგი რა არის? გადაიარა იმ საარჩევნო ბუმმა. მივიღეთ წალენჯიხის ერთი გამარჯვება, დანარჩენი ყველგან წააგო ოპოზიციამ. ამ პოლიტიკური შედეგით მოგებული ვინ დარჩა?! მოგებული დარჩა „ქართული ოცნება“!

„ქართულ ოცნებას“ ამ წუთას რა მდგომარეობაც აქვს, ასე მშვიდად არც ყოფილა არასდროს. ოპოზიცია მისთვის არანაირ საფრთხეს აღარ წარმოადგენს. ანუ ვინ იხეირა მიშას ჩამოსვლით? რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ. ოპოზიცია საზოგადოების განწყობას ვერ გრძნობს დღეს. ტრიალებენ მიშას შემოტანილი დღის წესრიგის ირგვლივ. მათგან რაციონალური ვერაფერი ვერ მოვისმინე. საერთოდ, სადა ვართ და რა გვინდა?!

– ბატონო შალვა, თქვენ საუბრისას ხაზარაძის საქმეც ახსენეთ. გვესმის შეფასებები, რომ დაიჭერენ ხაზარაძესო. როგორც იურისტს, რისი თქმა შეგიძლიათ?

– ამ საქმის მასალებს ასე თუ ისე ვიცნობ. წაკითხული მაქვს უცხოელი ქალბატონის სამართლებრივი დასკვნა, რომელიც მან ხაზარაძის საქმეზე გააკეთა, თუ ამ დასკვნით ვიხელმძღვანელებთ, ხაზარაძის და ამ ორი პირის ქმედებაში დანაშაული არ იკვეთება. რაც შეეხება იმას, დაიჭერენ თუ არა ხაზარაძეს, მე მგონია, რომ მოსამართლე შეუფარდებს პატიმრობას და გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს. ავთანდილ წერეთელს, თუ ექსპერტიზის დასკვნას წარადგენენ ადვოკატები, ალბათ სასჯელს გადაუვადებენ. ხაზარაძეს, როგორც პოლიტიკურ ფიგურას, რაც შეეხება, გეტყვით, რომ ოპოზიციური ლიდერებიდან ის ყველაზე კარგად გამოიყურება. აშკარად ჩანს, რომ თავის თავზე ბევრი იმუშავა. თუ კარგ სახეებს შემოიკრებს, ის ერთ-ერთი სერიოზული პოლიტიკური სახე იქნება. თუ დააპატიმრებენ, მით უმეტეს.

– საქართველოში ჩაგრულებს უფრო სწყალობენ?

– კი, ასეა და მას მოუწევს ციხეში ყოფნა. თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ამას დიდი ამბები მოყვება. ახლა კი არის მდორე პროცესი, მაგრამ სიტუაცია უცბად იფეთქებს და ეს არაერთხელ გვინახავს. ხაზარაძე თუ სერიოზულად შეხედავს პარტიული სტრუქტურის მშენებლობას, არ გამოვრიცხოთ, რომ ნაციონალურ მოძრაობასაც გადაუსწროს რეიტინგით. ხაზარაძეს დიდი კავშირები აქვს როგორც ამერიკაში, ისე რუსეთში. ამხელა ბანკის მშენებლობა, ამხელა ინდუსტრიის შექმნა, ასე მარტივი არაა. ხაზარაძე ერთ-ერთ სერიოზულ მოთამაშედ რჩება პოლიტიკურ ბაზარზე. ძალიან კარგი პოზიციები ჰქონდა გახარიასაც, მაგრამ ის პასიურობს. მაქვს მოლოდინი, რომ გაზაფხულიდან პროცესები საკმაოდ გააქტიურდება. არ გამოვრიცხავ, რომ მშიერი ხალხის ბუნტი ატყდეს ქვეყანაში.

„შერიგება მხოლოდ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლებაა?“

ვახტანგ ძაბირაძე: „ზურაბიშვილის მხრიდან სწორი გადაწყვეტილებაა, პატრიარქთან რომ გადის კონსულტაციებს“

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

– ბატონო ვახტანგ, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა შერიგების იდეასთან დაკავშირებით პატრიარქს გააცნო თავისი ხედვა. თქვენ როგორ უყურებთ ამ პროცესს. შეიძლება ხელშესახები შედეგის მიღწევა?

– საინტერესოს და აუცილებელ პროცესს ვუწოდებდი, მაგრამ რამდენად მიიღწევა, ეს არის მნიშვნელოვანი. 1988 წლიდან მოყოლებული, დღე არ ყოფილა ამ ქვეყანაში, რომ არ ყოფილიყო დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ამიტომ, რთულად წარმოიდგენია იმ რეცეპტის მოძებნა, რომელიც ამ პროცესს დაასრულებს. ლაპარაკი არ არის მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებზე. თუ თავიდანვე პოლიტიკოსები, პარტიები ჩაერთვებიან ამ პროცესში, ჩათვალეთ, რომ ეს იქნება მკვდრადშობილი იდეა.

მე ვურჩევდი პრეზიდენტს, ჯგუფის შექმნაზე იფიქროს, რომელიც დაკომპლექტებული იქნება იმ ადამიანებით, რომლებიც ამ თემაზე მუშაობდნენ. პოლიტიკოსები საბოლოო ეტაპზე შეიძლება ჩაერთონ პროცესში და არა იმთავითვე. მოსამზადებელი სამუშაოები სპეციალურმა ჯგუფმა უნდა გაწიოს. საზოგადოებაც უნდა იყოს ჩართული. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი შეიძლება იყოს.

ამიტომ, პრეზიდენტ ზურაბიშვილის მხრიდან სწორი გადაწყვეტილებაა, პატრიარქთან რომ გადის კონსულტაციებს, მაგრამ პატრიარქი ვერ იქნება ძირითადი საყრდენი.

– შუამავლის ფუნქცია შეიძლება იკისროს პატრიარქმა?

– პირველად არ უკისრია პატრიარქს შუამავლის ფუნქცია, მაგრამ შედეგი არ დამდგარა. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს განსაზღვრა, რა შინაარსი იდება შერიგებაში. რა იგულისხმება ამ პროცესში. როგორც ვხედავ, ყველა სხვადასხვაგვარად აღიქვამს ამას. ჯერ ხომ იმაზე უნდა მოხდეს შეთანხმება, რა იგულისხმება შერიგებაში?! ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილის პატიმრობიდან განთავისუფლებას გულისხმობს და თუ ეს არის, კი ბატონო, გაათავისუფლონ და შერიგებაც მოხდება, მაგრამ იქნება ეს შერიგება?! სხვები სხვა შინაარსს დებენ. ამიტომ იმთავითვე უნდა მოხდეს შეთანხმება, რა იგულისხმება „შერიგებაში“.

– სტოლტენბერგმა ღიად უთხრა ღარიბაშვილს, რომ ოპოზიციასთან იმუშაონ, რათა აღმოიფხვრას პოლარიზაცია, რომელიც ქვეყანაშია.

– რასაკვირველია, დასავლეთი პოლარიზაციაში, ასეთ დაპირისპირებაში სერიოზულ საფრთხეს ხედავს. ყველა ვხედავთ ამ საფრთხეს, მაგრამ აქ საუბარია, რამდენად იმუშავებს თუნდაც მიღწეული შეთანხმება. რაღა შორს მივდივართ, სულ ახლახან მოხდა მიშელის დოკუმენტზე შეთანხმება, რომელიც ლამის ზარ-ზეიმით გაფორმდა, მაგრამ იმუშავა?! დიდმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელი არ მოაწერა და როდესაც მოაწერა, საერთოდ მმართველმა პარტიამ დატოვა შეთანხმება. ასეთი რეალობის შემდეგ რა გინდა თქვა, რომ შეთანხმება მიიღწევა, გაფორმდება და უპირობოდ შესრულდება?!

პოლარიზაცია რომ შესამცირებელია, საერთო ხედვები და მისწრაფებები რომ მოსაძებნია ამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ამაში ხომ ორი აზრი არ არსებობს?! რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ, რომ რეალურად მოხდეს შეთანხმება და ამან იმუშაოს?!

მითხარით, რა შეხების წერტილებსა და რა შერიგებაზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც ერთი მხარე ამბობს, რომ ყველაზე მსხვილი ოპოზიციური ძალა უნდა გავიდეს პოლიტიკური თამაშიდან, უნდა დატოვოს პოლიტიკა და მეორე, მიხეილ სააკაშვილი უპირობოდ უნდა განთავისუფლდეს ციხიდან და დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები. აქ, სადმე არის შეხების წერტილი?! დავუშვათ, რომ არის პოლიტიკური ელიტა შეთანხმდა და მოძებნეს საერთო წერტილები, მაგრამ ეს ნიშნავს საზოგადოებრივ თანხმობას?!

– ნიკა მელია ამბობს, თანხმობა არ ნიშნავს ხელიხელ ჩაკიდებულმა ვისეირნოთ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ მელიქიშვილიდან რუსთაველამდე. ეს ნიშნავს ფუნდამენტურ პრინციპებზე შევთანხმდეთ თუ როგორ ვმართოთ სახელმწიფო.

– გასაგებია, მაგრამ ასეთი შეთანხმება იყო და უარი თქვეს. შარლ მიშელის შეთანხმება აბა რა იყო?! ამიტომ ვამბობ, რომ სკეპტიკურად ვუყურებ ამ პროცესს. რეალურად თუ არ მოხდა გაცნობიერება, არაფერი არ გამოვა, მაგრამ, მოხდება კი?! თავს დროზე, როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, ამბობდა, რომ სამართლიანობას აღადგენდა. მაშინვე სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, რადგან ეს არ იყო მარტივი პროცესი. უამრავი რესურსია საჭირო ამისთვის. ბოლოს და ბოლოს, ამაზე პოლონეთმა თქვა უარი. ისტორიის ერთი თავი დახურა და ახალი ფურცლიდან დაიწყო. ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან რთულია ეს ყველაფერი. სხვა რაღაცაა ამისთვის საჭირო. ახალი ტიპის სახელმწიფოა ამისთვის საჭირო.

– თუკი დემოკრატიულად დაიწყებ სახელმწიფოს მართვას, შეიძლება მარტივიც კი იყოს?

– ამას ეს ხელისუფლება უკვე ვეღარ შეძლებს. სახელმწიფოს დემოკრატიულად მართვისთვის პოლიტიკური რესურსია საჭირო, რომელიც ნამდვილად ჰქონდა „ქართულ ოცნებას“ 2012 წელს, ისევე, როგორც 2003 წელს ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სიესო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური ოპონენტები არ ჰყავს“

გოგა ხაინდრავა: „უკრაინელი სააკაშვილი რას ლაპარაკობს, აბსოლუტურად არ მაინტერესებს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა პასუხობს.

– ბატონო გოგა, პატიმარმა სააკაშვილმა შერიგების იდეა წამოაყენა. თქვენ როგორ შეხვდით მის ამ განცხადებას? როგორ გესმით მისგან შერიგების იდეა?

– არანაირად არ მესმის. დიდი ხანია სააკაშვილს არ ვუსმენ. 100 წელი სააკაშვილის არაფერი მაინტერესებს. მან უარი თქვა თავის წარმომავლობაზე, საქართველოს მოქალაქეობაზე. ამიტომ, უკრაინელი სააკაშვილი რას ლაპარაკობს, აბსოლუტურად არ მაინტერესებს.

– ნაცებთან შერიგება როგორია?

– ამაზე იტყვიან, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ხომ იცით, ქართული ანდაზაა ასეთი. ნაცები და შერიგება? ნაცმოძრაობა კრიმინალური დაჯგუფებაა, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი. თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე დიდი მანკიერება ისაა, რომ ასეთი ტიპის ორგანიზაციები დღემდე მხარდაჭერით სარგებლობენ და პოლიტიკურ ორგანიზაციებად ითვლებიან. ეს არის ორმაგი სტანდარტი, რომელიც მსოფლიო წესრიგს არღვევს. წესრიგი რომ დარღვეულია, მგონი, ყველანი კარგად ვხედავთ.

– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს და ნაცებს რაში დასჭირდათ შერიგების წამოძახება?

– წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ასეა მათი საქმე.

– მაინც როგორი წარმოსადგენია ციხეში მყოფი სააკაშვილის, ყოფილი პრეზიდენტისა და მოქმედი პრეზიდენტების შეხვედრა?

– გამორიცხულია. ჩვენ ხომ ყველამ კარგად ვიცით პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის დამოკიდებულება სააკაშვილისადმი. მან ორჯერ განაცხადა: „არა და არასოდეს!“ ვფიქრობ, ამას წერტილი უნდა დავუსვათ.

– სალომე ზურაბიშვილი დემოკრატიის სამიტზე, რომელზეც ამერიკის პრეზიდენტ ბაიდენის მიწვევით დაესწრო, ინიციატივით გამოვიდა, რომ იმუშავებს ქვეყანაში არსებული პოლარიზაციის შემცირებაზე. დღევანდელ ვითარებაში პრეზიდენტმა რა შეიძლება გააკეთოს?

– ეს მისი ვალია. საქართველოს პრეზიდენტი ზეპარტიული ფიგურაა. ამიტომ, ბუნებრივია, ის სისხლხორცეულად უნდა იყოს (არის კიდეც) დაინტერესებული, რომ საქართველოში ნორმალური პოლიტიკური ატმოსფერო შეიქმნას. ამისთვის საჭიროა ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობები, მაგრამ ეს შეუძლებელია.

– რატომ არის შეუძლებელი?

– ამ ქვეყნის ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური ოპონენტები არ ჰყავს. საერთოდ, პოლიტიკური ველი ჩვენთან ცარიელია. უფრო სწორად, დაბინძურებულია. ერთ მხარესაა „ქართული ოცნება“, ისეთი, როგორიც არის. მეორე მხარეს – არავინაა. მეორე მხარეს ვინცაა, ისინი პოლიტიკოსები არ არიან, იქ არის ჭაობი, აბსოლუტურად ყოველგვარ შეგთავსგამოცლილი ფიგურებია, ზოგი ანგარებით, ზოგი – საკუთარი თავის დაცვით, ზოგი კრიმინალით დაკავებული.

ეს საქართველოსა და, ზოგადად, სახელმწიფოს ყველაზე დიდი პრობლემაა, რაც ესმის ყველა გონიერ ადამიანს, ყველა ჩვენს გულშემატკივარს, ვგულისხმობ, ჩვენს მეგობრებს, სტრატეგიულ პარტნიორებს. ამიტომ ცდილობენ, ეს ვაკუუმი რაღაცნაირად შეივსოს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ეს შეუძლებელია, რადგან არ ჩანან ადამიანები, რომ „გირჩების“, „ლელოების“, აღმაშენებლებისა და დაღმაშენებლების, დროების, ბურჯანაძეებისა და სხვების დაბინძურებული პოლიტიკური ველი გასუფთავდეს.

ისინი ამ ველს აბინძურებენ, შესაძლებლობას არ აძლევენ, პოლიტიკურ ველზე ახალი თაობა და ახალი ხალხი შემოვიდეს. ზემოთ ჩამოთვლილი ე.წ. ძალები ნაცმოძრაობასთან გადაბმული და მათი ქმედებების თანამონაწილენი არიან, ან იმ ბოროტების ხელშემწყობები, რომელსაც ეს კრიმინალური ორგანიზაცია ჩადიოდა. ისინი პოლიტიკური ველის ბლოკირებას ახდენენ, რაც ძალიან დიდი პრობლემაა.

– როგორ წარმოგიდგენიათ ამ პრობლემის დაძლევა?

– ეს პრობლემა ქართულმა საზოგადოებამ უნდა დაძლიოს. სალომე ზურაბიშვილი პოლარიზაციის დაძლევის მოწოდებით რომ გამოვიდა, აბსოლუტურად ნორმალურია, რადგან ეს მისი, როგორც პრეზიდენტისა და ზეპარტიული ფიგურის, მოვალეობაა.

– არჩევნების წინა პერიოდში და შემდეგაც სულ მესმის, რომ აუცილებელია ნაცების მიერ შექმნილი სისტემა გასამართლდეს. ხომ არ მოხდება ნაციონალური მოძრაობის პერიოდის შეფასება და სისტემურ დანაშაულობებზე პასუხისგება?

– ეგ ადრე უნდა მომხდარიყო. სისტემურ დანაშაულობებზე პასუხისგება რომ არ მოხდა,



ნაციონალები ამიტომ არიან ასეთი თავგასულები. ამიტომ არის, რომ

კოაბიტაციის დაშვება არ შეიძლებოდა. ეს იყო მძიმე დანაშაულობების ჩამდენებისთვის ხელის დაფარების მცდელობა, რამაც კრახი განიცადა. ჩვენ ახლა ვიმკით იმ ფსევდოკოაბიტაციის ნაყოფს. ფსევდოკოაბიტაციის შედეგია ის, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ. იმედია, ქართულ საზოგადოებას ეყოფა ძალა, მოითხოვოს ამ უმძიმესი დამნაშავეების დასჯა ისე, როგორც ამას ისინი იმსახურებენ. ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს.

– „ოცნება“ ამისთვის მზად არის?

– ქართული საზოგადოება მზად უნდა იყოს. ქართულ საზოგადოებას ძალიან მკაცრი მოთხოვნა უნდა ჰქონდეს. „ოცნება“ მზად თუ არ არის, იძულებული იქნება, ხალხის მოთხოვნა აღასრულოს.

ენმ პრეზიდენტის დაგეგმილ საახალწლო მიღებას არ დაესწრება

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, ნიკა მელიას განცხადებით, ხვალ პრეზიდენტის მიერ გამართულ საახალწლო მიღებას არ დაესწრებიან. მისი თქმით, ზურაბიშვილს შეხვდებიან მაშინ, როდესაც განიხილავენ მის მიერვე დაანონსებულ ინიციატივას.

„ვინაიდან ეს არის კლასიკური საახალწლო ტიპის მიღება, ჩვენ მადლობა მათ მოპატიჟებისთვის, მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობას არ მივიღებთ. მივიღებთ მას შემდეგ მონაწილეობას, როდესაც შეხვედრა გაიმართება იმ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც ქალბატონმა ზურაბიშვილმა ისაუბრა რამდენიმე დღის წინ“ – თქვა მელიამ.

კრამონი: „დროა, ევროკავშირმა კბილები გამოაჩინოს და მჩაგვრელ რუსეთს სანქციების ენაზე ესაუბროს“

ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა ევროპარლამენტის წინაშე დღევანდელი გამოსვლისას უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ქმედებებზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ დროა, ევროკავშირმა „კბილები გამოაჩინოს“ და საკითხის მშვიდობიანი გზებით მოგვარების ნაცვლად, მჩაგვრელ რუსეთს უპრეცედენტო სასჯელი დაუწესოს.

ევროპარლამენტარის გამოსვლის თარგმანს უცვლელი სახით გთავაზობთ:

„ბატონო პრეზიდენტო, უმაღლესო წარმომადგენელო, ძვირფასო კოლეგებო,

ჩვენ ეს აქამდეც გვინახავს: მჩაგვრელი აშანტაჟებს მასთან შედარებით სუსტ მეზობლებს, მაშინ როცა დანარჩენი სამყარო უყურებს. ჩვენ ეს ვნახეთ გასულ აპრილს, ჩვენ ეს მრავალჯერ გვინახავს კაცობრიობის ისტორიაში.

ისტორია გვასწავლის, რომ მჩაგვრელის დამშვიდების მცდელობა ძალიან საშიში სტრატეგიაა – ეს ამორალური და კონტრპროდუქტიულია.

ვიდრე ჩვენ ვსაუბრობთ, 100 000 რუსი სამხედრო უკრაინის საზღვართანაა მობილიზებული. მოსალოდნელია, რომ მათი რიცხვი მკვეთრად გაიზრდება. მათ, ვინც იცნობენ ბატონ პუტინს, იციან, რომ შობის მოახლოება განსაკუთრებით საშიში პერიოდია. ამიტომ, ჩვენ უნდა დავრჩეთ ფხიზლად და მტკიცედ.

უკრაინა იმიტომ კი არაა რუსეთის სამიზნე, რომ საფრთხეს წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ მისი მოსახლეობა მხარს უჭერს ევროპულ ღირებულებებს, ისინი ბედავენ, იყვნენ თავისუფალნი და სურთ თავად წყვეტდნენ საკუთარ ბედს. კრემლს არაფერი აშინებს ისე, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო მის საზღვრებთან.

ამ დროს როგორია ჩვენი რეაქცია? ზოგიერთი კვლავ გვთავაზობს, რომ „ნორდ სტრიმ 2“ უნდა გაგრძელდეს. როგორც ერთმა რუსული იდეოლოგიის მქონე ადამიანმა ღიად განაცხადა, კრემლის ექსპორტის მთავარი პროდუქტი არა გაზი, ნავთობი ან შეიარაღება, არამედ ქაოსია. რუსეთზე ჩვენი დამოკიდებულების გაზრდით, ჩვენ ვღალატობთ ჩვენს მოკავშირეებს და საშიშროებას ვუქმნით ამ კონტინენტის მომავალს.

დროა, ჩვენმა საგარეო პოლიტიკამ კბილები გამოაჩინოს და მჩაგვრელებს მათთვის გასაგებ ენაზე ვესაუბროთ: მკაცრი სანქციების ენაზე.

რუსეთის სასჯელი უნდა იყოს უპრეცედენტო, თუ ის გაბედავს უკრაინის წინააღმდეგ მომდევნო ომის დაწყებას. გავთიშოთ რუსეთი მსოფლიოს საბანკო საფინანსო სატელეკომუნიკაციო საზოგადოებიდან [SWIFT], გავანადგუროთ „ნორდ სტრიმ 2“ და დავუწესოთ სანქციები პუტინსა და მის გარემოცვას.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ყოველ ჯერზე, როცა კრემლი უკრაინის გაღიზიანებას ეცდება, უკრაინასთან პარტნიორობის გაძლიერებით ვაჩვენოთ რუსეთს, რომ ჩაგვრა კონტრპროდუქტიულია.

ძვირფასო კოლეგებო, მოდით განვახორციელოთ ის, რასაც ვქადაგებთ და ვაჩვენოთ რუსეთს, რომ საერთაშორისო სამართლის სამყაროში ძალა არ ნიშნავს უფლებას,

დავიცვათ უკრაინა!“ – განაცხადა ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა ევროპარლამენტის წინაშე დღევანდელი გამოსვლისას.

ირაკლი ღარიბაშვილი: „დადგა ჩვენი ინტეგრაციის პროცესის გააქტიურების და კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დრო“

პრემიერ-მინისტრი შარლ მიშელს შეხვდა

„ნატოს წევრობა საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს, რომელსაც მხარს უჭერს ქართველი ერის აბსოლუტური უმრავლესობა“ – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რაზეც შეხვედრაზე ისაუბრეს.

„დიდი მადლობა ბატონო გენერალურო მდივანო, მადლობას გიხდით დღეს ნატოს სათავო დაწესებულებაში ჩემი მასპინძლობისთვის. ნატო-საქართველოს დინამიური ურთიერთობების, სრულყოფილი დღის წესრიგის და, რა თქმა უნდა, ჩვეული ინტეგრაციის გზის განხილვა ყოველთვის დიდი პატივია.

ჩვენ ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა რეგიონში, ქვეყანაში, ვისაუბრეთ არსებულ მოვლენებზე, რუსეთის მიმდინარე ოკუპაციაზე. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ნატოს წევრობა საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს, რომელსაც მხარს უჭერს ქართველი ერის აბსოლუტური უმრავლესობა. გაწევრიანებისთვის ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი გაგვაჩნია და აქტიურ დიალოგს ვაწარმოებთ მოკავშირეებთან, რათა პოლიტიკური გადაწყვეტილება მომზადდეს ნატოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

მინდა ყველას გაგახსენოთ, რომ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველო ალიანსის წევრი გახდებოდა. მაშინ ეს ძალიან ძლიერი გზავნილი იყო და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევის სუვერენული უფლება ყველა სახელმწიფოს გააჩნია. ეს გადაწყვეტილება ის ქვაკუთხედია, რომელსაც ნატოში საქართველოს გაწევრიანების პროცესი ეფუძნება. გვჯერა, რომ ამ არჩევანის წარმატებული განხორციელება ისევე აქტუალურია ნატოსთვის, როგორც საქართველოსთვის, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ნატოსთან საქართველოს პრაქტიკული თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე პარტნიორობის ფარგლებში.

„ნატოსთან ჩვენი პრაქტიკული თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე პარტნიორობის ფარგლებში. გამოაშკარავდა, რომ უსაფრთხო და სტაბილური შავი ზღვის რეგიონის გარეშე ევროატლანტიკური უსაფრთხოება ვერ შედგება. შავი ზღვის მდგრადი უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელია ევროატლანტიკური უსაფრთხოების მდგრადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა.

ჩვენ მივესალმებით ნატოს აქტიურობის ზრდას შავ ზღვაზე, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების მხრივ.

ასევე მივესალმებით ნატოს გადაწყვეტილებას თავისი სტრატეგიული კონცეფციის განახლებასთან დაკავშირებით. ჩვენ გვჯერა, რომ ღია კარის პოლიტიკა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის საკითხები სათანადოდ აისახება ამ დოკუმენტში.

მინდა გამოვიყენო შესაძლებლობა და მადლობა მოვახსენო მოკავშირეებს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და არაღიარების პოლიტიკის მტკიცე მხარდაჭერისთვის, რასაც ქართველი ხალხი დიდად აფასებს და უფრთხილდება“ – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა გენერალურ მდივანს მადლობა გადაუხადა პირადი ძალისხმევისა და ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს წინსვლაში არსებითი როლის შესრულებისთვის.

❖ ❖ ❖

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შეხვდა.

პირისპირ შეხვედრისას მხარეებმა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების დღის წესრიგის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრეს. საუბარი ასევე შეეხო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის პოლიტიკურ დეკლარაციაში ძლიერი გზავნილების დაფიქსირებისა და საქართველოსთვის პრიორიტეტული საკითხების ასახვის მნიშვნელობას.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ეტაპობრივი ინტეგრაცია და ენერგეტიკული და ციფრული დაკავშირებადობის გაძლიერება.

ირაკლი ღარიბაშვილმა შარლ მიშელს მადლობა გადაუხადა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერის პროცესში პირადი ძალისხმევისთვის და აღნიშნა, რომ ევროპული ინტეგრაცია ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის არჩევანია და საქართველოს მთავრობის ამბიციური გეგმა, 2024 წელს ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე ოფიციალური განაცხადის გაკეთებასთან დაკავშირებით, სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს და მათი გაგრძელების მნიშვნელობას.

„პარლამენტში შესულმა ოპოზიციამ „ოცნებას“ ყველაფერი „გაუპრავა“

ბეჟან ნათელაშვილი: „ხელისუფლებას იმ აქციებით ვერ შეაშინებენ, რომლებიც ახლა ეწყობა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრს, ბეჟან ნათელაშვილს.

– ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, ლეიბორისტული პარტია მოუწოდებდა ოპოზიციას, დაეტოვებინა პარლამენტი. მას შემდეგ ადგილობრივი არჩევნებიც გაიმართა და სხვა მოვლენებიც ხდება. ახლა რას ურჩევთ ოპოზიციონერ კოლეგებს?

– ჩვენ ჩვენი მტკიცე პოზიცია არ შეგვიცვლია. როცა 2020 წლის არჩევნების შემდგომ არჩეული პარლამენტის ბოიკოტი დაიწყო, მასში ჩავერთეთ და ამ გზისთვის არ გვიღალატია. სხვა ოპოზიციამ, მოგეხსენებათ, ბოიკოტი შეწყვიტა და დღემდე პარლამენტშია. ამით, ასევე საკრებულოებში ყოფნით ოპოზიციამ „ქართულ ოცნებას“ ყველაფერი „გაუპრავა“. ამით ოპოზიციამ დაივიწყა 2020 წელს გაყალბებული არჩევნები და ხალხისთვის ურცხვად მოპარული ხმებიც და წლევანდელი ფალსიფიცირებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც. ბოიკოტის შეწყვეტა და პარლამენტში შესვლა, ასევე საკრებულოების ლეგიტიმაცია არის ოპოზიციის ამ ნაწილის სტრატეგიული შეცდომა.

– ოპოზიციის ნაწილი საპროტესტო აქციებს ატარებს.

– ეს უშედეგო აქციებია და ვერ აფერხებს ძალაუფლების უზურპაციას „ქართული ოცნების“ მხრიდან. ეფექტიანი და შედეგიანი იქნებოდა პარლამენტში დაწყებული ბოიკოტი, რასაც შემდგომ მოჰყვებოდა დემოკრატიული და ცივილიზებული სამყაროსთვის დამახასიათებელი სხვა მშვიდობიანი მოვლენები. მაგალითად, გაფიცვები და სხვა. ახლანდელი აქციები, განსაკუთრებით, ლოკალური პროტესტი და პერფორმანსები არაფერს შეცვლის.

– როგორია ხელისუფლების მოქმედები?

– ხელისუფლება, რომელიც ახდენს ძალაუფლების უზურპაციას, ძალაზეა გადასული. „ქართული ოცნება“ დეზორგანიზებული და ჩამოშლილია, თუმცა ერთ საკითხი მაინც მონოლითურობას ინარჩუნებს. ესაა მტაცებლობა და მომხვეჭელობა. ამ თვისებებით „ოცნებამ“ ყველა წინა ხელისუფლებას გადააჭარბა. „ოცნებას“ პრობლემები აქვს, მაგრამ ოპოზიციის ახლანდელი გამოსვლები მას დისკომფორტს არ უქმნის. ოპოზიციამ თავისი შეცდომებით შესაძლებელი გახადა ყაჩაღთა ბანდის ბოგინის გაგრძელება. ოპოზიციის აქციები სუსტია და ხალხზე არ მოქმედებს. ხალხმრავალი მიტინგი მარტო 14 ოქტომბერს მახსოვს.

– სააკაშვილის საქართველოში ყოფნაც არ უქმნის დისკომფორტს ხელისუფლებას?

– სააკაშვილი ხელისუფლებას გარკვეულ დისკომფორტს უქმნის. განსაკუთრებით მისთვის თავის ტკივილია ცუდად მოპყრობის ფაქტები – ყოფილი პრეზიდენტის მიწაზე დანარცხება, თრევა და სხვა. ამაზე აუცილებლად იქნება საერთაშორისო რეაგირება. ეს ხელისუფლება საერთაშორისო სამართალსაც არღვევს, ადამიანის უფლებებსაც. ხომ ხედავთ, როგორ თავხედურად ეპასუხებიან პარტნიორებს. პარიკმახერდაკარგული კობახიძე იმასაც კი ამბობს, რომ თვითონ არის კონსტიტუციონალისტი, სხვები კი არ არიან. ამათ „მიშელის დოკუმენტზეც“ უარი თქვეს. იქ ჩაწერილ მოთხოვნებს არ ასრულებენ. სხვათა შორის, საერთაშორისო პარტნიორები მოუწოდებდნენ ოპოზიციას, შეეწყვიტა ბოიკოტი. არ ვიცი როდის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი, როგორც პოლიტპატიმარი, დატოვებს ციხეს.

– ამ დღეებში ბევრი საუბარია პოლიტიკურ შერიგებაზე. სხვადასხვა ფორმულირებით ამ თემაზე ინიციატივები წამოაყენეს სააკაშვილმა, მარგველაშვილმა, ზურაბიშვილმა.

– ოპოზიციამ ყველაფერი „გაუპრავა“ „ქართულ ოცნებას“ და შესარიგებელი რა სჭირთ?! სააკაშვილიც ვადამდე დატოვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებას. განსაკუთრებით მაოცებს მოქმედი ე. წ. პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ფარსი. არ მჯერა, რომ მას შერიგება უნდა. გარდა ამისა, მისგან სერიოზული განცხადება, გადაწყვეტილება და მოქმედება არ მახსოვს. ეს არის ნომინალური ფიგურა, რომელიც კი არ აირჩიეს, ფალსიფიკაციის გზით დასვეს მაღალ თანამდებობაზე. სალომე ზურაბიშვილი არის დანიშნული პრეზიდენტი. ის დეპუტატადაც არ გადმოდგება, არათუ – პრეზიდენტად. პრეზიდენტს შერიგება სულ არ აინტერესებს. საათის გუგულივით გამოხტება ხოლმე, რომ რაღაც თქვას.

– სააკაშვილისა და მარგველაშვილის განცხადებებიც ხომ იყო შერიგებაზე, კრიზისის დაძლევაზე?

– სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რაში მდგომარეობს შერიგება. გაბუტული ვინ იყო? ოპოზიციას თავიდანვე არ უნდა „გაეპრავებინა“ ტოტალურად გაყალბებული არჩევნები. თორემ, რა გამოვიდა? მარტო შალვა დარჩა გარეთ.

– გულისხმობთ შალვა ნათელაშვილს, რომელმაც მანდატი დატოვა?

– დიახ. შალვა ნათელაშვილმა არ შეწყვიტა ბოიკოტი და დარჩა პარლამენტს გარეთ. სხვებმა ხელი შეუწყვეს, რომ „ოცნებას“ გაეგრძელებინა ძალაუფლების უზურპაცია.

– ხალხის პრობლემებზე რას იტყვით? ყველაზე ძალიან რა აწუხებს მოსახლეობას?

– რასაკვირველია, ფასები პირველადი მოხმარების პროდუქტებზე. ერთ დღეს რომ შედიხარ მაღაზიაში და იძენ ძვირ სურსათს, მეორე დღეს უფრო გაზრდილი ფასი გხვდება. სამყოფი პური და ზეთი ვერ უყიდიათ ადამიანებს.

– სიღარიბე კოვიდზე არანაკლები ჰუმანიტარული კატასტროფაა?

– რასაკვირველია. მგონია, რომ ამ ზამთარს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება და ჩვენ აღმოვჩნდებით უფსკრულის წინაშე. ეს ხელისუფლება თავისი ბუნებით ძალიან ჰგავს კოვიდ-19-ს. თანაც, „ოცნებამ“ პანდემია თავისთვის შესანიშნავად გამოიყენა. ჯერ ერთი, შემოსული დახმარების დიდი ნაწილი ჯიბეში ჩაიდო. მეორეც, თავისი გარემოცვის სასტუმროები გამოიყენა ინფიცირებულებისთვის და ფული ასეც აკეთა. გარდა ამისა, კორონას საბაბით აწესებდა შეზღუდვებს, რომელიც თვითონ აწყობდა. კომენდანტის საათიც კი დააწესეს. ეს ნამდვილად არ იყო საჭირო. ისედაც დასუსტებული ეკონომიკა პანდემიის დროს ბოლომდე ჩამოაქციეს. ამან ხალხი გააღატაკა. ახლა ეს ადამიანები გაძვირებულ პროდუქტს ვერ ყიდულობენ.

„თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, შემდეგი სამიზნე აუცილებლად ჩვენ ვიქნებით“

კორნელი კაკაჩია: „დიალოგის მზაობას ვერ ვხედავ, სანამ ულტიმატუმებით საუბრობენ, ეს პროცესი ვერ დაიწყება“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს ხელისუფლების კრიტიკა უკვე ბრიუსელის სამიტზეც გაისმა, რა თქმა უნდა, დიპლომატიური ენით. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ირაკლი ღარიბაშვილს მიმართა, რომ აუცილებელია დიალოგი ოპოზიციასთან, მან ასევე ისაუბრა მართლმსაჯულების რეფორმის აუცილებლობაზე. სტოლტენბერგმა ირაკლი ღარიბაშვილს მადლობაც გადაუხადა ავღანეთის მისიაში შეტანილი წვლილისთვის. გზავნილებზე და ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი კორნელი კაკაჩია საუბრობს.

– გაკეთდა გზავნილები ბრიუსელის სამიტზე საქართველოსთან მიმართებით. სტოლტენბერგმა ისევ მართლმსაჯულების რეფორმის აუცილებლობაზე ისაუბრა, მიმართა პრემიერს, რომ აუცილებელია დიალოგი ოპონენტებთან... როგორ დაინახეთ ეს გზავნილები და აჩენს მცირე იმედს მაინც, რომ ჩვენი ხელისუფლება ამას გაითვალისწინებს?

– ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის ეს გზავნილები ახალი არ ყოფილა და ამაზე დიდი ხანია საუბრობენ ჩვენი პარტნიორები და პირადადაც ბევრჯერ უთქვამთ. ახლა უკვე ფორმალურად პირველი პირის დონეზე გვეუბნებიან. წესით, დროა რაღაცა გავიგოთ აქედან, კეთილგონიერი ხელისუფლება ამას უყურადღებოდ არ დატოვებს. რაღაც ნაბიჯები უნდა გადაიდგას, იმიტომ, რომ ის მიზნები, რაც ჩვენ გვაქვს, მათ შორის ნატოსა და ევროკავშირთან მიმართებაში, წინააღმდეგობაში მოდის არსებული რეალობის გათვალისწინებით. რაღაცაა შესაცვლელი, იმიტომ, რომ კიდევ უფრო ვშორდებით ამ მიზნებს.

ახლა უკვე ხელისუფლების გადასაწყვეტია, როგორ მოახერხებს ამას და რამდენად აქვს რესურსი, რომ შეცვალოს ეს რიტორიკა და პოლარიზაციის ხარისხი, რათა დაწიოს დაპირისპირების დონე. ყოველ შემთხვევაში, ვხედავთ, რომ ამის მცდელობები არის პრეზიდენტის დონეზე. ვიცით მისი ცნობილი გამოსვლა საერთაშორისო ფორუმზე, მაგრამ აქვე ჩნდება კითხვა, რამდენად აქვს მას პერსონალური რესურსი, რომ ეს გააკეთოს და რამდენად აქვს ბერკეტები როგორც მთავრობაზე, ისე ოპოზიციაზე, რომ რაღაცა გავლენა მოახდინოს და შემდეგ დაიწყოს ეს პროცესი. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის, რამდენად აქვთ პოლიტიკურ აქტორებს კეთილი ნება, რამდენად არის ამის მზაობა. სამწუხაროდ, ამ კეთილ ნებას ამ ეტაპზე მე ვერ ვხედავ.

> „ოცნება“ ფაქტობრივად ამბობს, ენმ აიკრძალოს და სააკაშვილი პოლიტიკიდან წავიდესო, მეორე მხრიდან კი სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნაა“

– ჩანს, რომ ოპოზიცია ამისთვის მზადაა, ყოველ შემთხვევაში, ამას ამბობენ, მაგრამ რამდენად სწორია ოპოზიციის ნაწილის გზავნილი, რომ სააკაშვილი უნდა გათავისუფლდეს. ასეთი წინაპირობით დიალოგის დაწყება შესაძლებელია?

– ასეთი წინაპირობებით და ზოგადად, როდესაც წინაპირობებით იწყება პროცესი, მე მგონი, იქ არაფერი გამოვა. თუ ვლაპარაკობთ ინკლუზიურ რაღაც პროცესზე, იქ უნდა დაიწყოს მთლიანობაში რაღაცაზე შეთანხმება და მერე უნდა ჩამოიწეროს სხვადასხვა საკითხები. იქ თუ პირველივე პოლიტიკური საკითხებია, მათ შორის სააკაშვილის გათავისუფლების, ან არჩევნების, რომელიც ახლახან ჩატარდა და ხელახლა უნდა ჩატარდესო, ეს ატარებს ულტიმატუმის სახეს. ულტიმატუმია ხელისუფლებიდანაც, როდესაც ისინი ამბობენ, რომ სააკაშვილმა უარი უნდა თქვას პოლიტიკაში მონაწილეობაზე და „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა აიკრძალოს. ასეთი ულტიმატუმები პროცესს ხელს უშლის.

– პლუს ამას, ხელისუფლება ოპონენტებს კრიმინალებადაც მოიხსენიებს. ესეც უშლის ხელს?

– რა თქმა უნდა. ასე ვერასოდეს ვერ დაიწყება ეს ინკლუზიური პროცესი. მაგიტომაც ვარ ასე პესიმისტურად განწყობილი. იმიტომ, რომ დიალოგი და მოლაპარაკების ინკლუზიური პროცესი ასე ვერასოდეს ვერ იწყება და ვერ იქნება ეს შედეგზე ორიენტირებული, სანამ ასე უდგებიან მხარეები. ეს მარტო ოპოზიციის პრობლემა არ არის, ხელისუფლებიდან კიდევ უფრო რადიკალური პოზიციაა. ფაქტობრივად ხელისუფლება ამბობს, რომ ერთ-ერთი წამყვანი ოპოზიციური პარტია უნდა აიკრძალოს. პირდაპირ ეს არ უთქვამთ, მაგრამ რეალურად ამაზეა ლაპარაკი. თუ ეს არის წინაპირობა, ისევე, როგორც მეორე მხრიდან სააკაშვილის გათავისუფლება, ბუნებრივია, რომ არანაირი დიალოგი არ იქნება.

– აღნიშნეთ, რომ განცხადებების გაკეთების პროცესი ჩვენ პარტნიორებში უკვე პირველი პირების დონეზე კეთდება და როცა სტოლტენბერგი აკეთებს ასეთ გზავნილს, ამასაც არ შეუძლია გავლენის მოხდენა?

– ეჭვი მეპარება. იმიტომ, რომ ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი იყო ჩამოსული თავისი ფეხით და ხელი მოაწერინა პოლიტიკურ პარტიებს, მაგრამ გვახსოვს, როგორც დამთავრდა ეს პროცესი. ვერ გამოავლინა პოლიტიკურმა კლასმა პასუხისმგებლობა, მაშინაც კი, როდესაც ასეთ მაღალ დონეზე იყო ევროკავშირის მხრიდან ჩართულობა. ახლა რატომ უნდა გვქონდეს იმედი, რომ სტოლტენბერგის საუბარი საქართველოს პრემიერთან რაღაცას შეცვლის?! მით უმეტეს, ამ ფონზე. რაღაცა ხელჩასაჭიდი რომ იყოს ნატოში გაწევრიანების, ევროკავშირში გაწევრიანების რაღაცა მნიშვნელოვან პერსპექტივას აძლევდნენ, მაშინ შეიძლება ვილაცები შეფუცხუნდნენ, მაგრამ როდესაც მთლიანად ქვეყანა სტაგნაციაშია და ხელისუფლება დიდი ხანია ძალაუფლების შენარჩუნების რეჟიმზეა გადასული, ამ დროს ვერ ვხედავ, როგორ უნდა მოხდეს ამ ყველაფრის დაწყება.

– რუსეთის მხრიდან გაისმა ღია მუქარა, მათ შორის ევროკავშირის მისამართითაც, რომ გადაიხედოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება ჩვენი, უკრაინის და მოლდოვის ალიანსში გაწევრიანების თაობაზე. ამის შემდეგ ევროპა უფრო მეტად დისტანცირდება ჩვენგან და ჩვენი ხელისუფლებაც კიდევ მეტად ფრთხილი ხომ არ იქნება?

– რუსეთის მუქარა ძალიან რეალურია, რაც ხანდახან გვავიწყდება ხოლმე, იმდენად ვართ ჩართული შიდა პოლიტიკურ ბატალიებში და გეოპოლიტიკური კონტექსტი ზოგჯერ გვავიწყდება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ უკრაინასთან ომი დაიწყოს და თუ რუსეთის არმია შეიჭრა უკრაინაში და თავისი მიზნები ნაწილობრივ მაინც თუ განახორციელა, შემდეგი სამიზნე აუცილებლად იქნება საქართველო. ამ დროს საქართველოს ხელისუფლება ახლავე უნდა ფიქრობდეს იმაზე, როგორ მოხდეს ამ რისკების მინიმიზაცია. ქვეყანას სჭირდება ერთიანობა, ერთად უნდა მუშაობდნენ იგივე უკრაინასთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან. ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ ჩვენი საკითხი ცალკეა და უკრაინის – ცალკე. ეს ასე არ არის. თუნდაც რუსეთის განცხადებებიდან ჩანს, რომ ერთიანობაში განგვიხილავენ. საუბრობენ, რომ უკრაინა და საქართველო არ გახდნენ ნატოს წევრებიო. ფაქტობრივად, რუსეთი ცდილობს, ჩვენი სუვერენული უფლება, რომ ვაწარმოოთ ჩვენი საგარეო პოლიტიკა, ამაზე უარი ათქმევინოს დასავლეთს.

ამ პროცესში დღეს ჩვენ მხოლოდ რეაგირების რეჟიმში ვართ. პირიქით, ჩვენი ენერგია მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ქვეყანას ავაცილოთ რისკები და უზრუნველვყოთ ჩვენი უსაფრთხოება, სინამდვილეში კი შიდა პოლიტიკურ ბატალიებში ვართ. ამ დროს ვერ ვხედავთ იმ დიდ სურათს, რაც იკვეთება ჩვენ რეგიონში.

– უკრაინას არ უნდა გამოვუცხადოთ მხარდაჭერა იმ ვითარებაში, როდესაც რუსეთის მიზანია, რომ გაყოს და გათიშოს ეს პროცესი?

– რა თქმა უნდა. რუსეთი ცდილობს იგივეს, რაც იყო 2008 წელს, თუმცა გვახსოვს, რომ მაშინ უკრაინის პრეზიდენტი ჩამოვიდა საქართველოში და მხარი დაგვიჭირა. ცოტა მეტია საჭირო და მარტო განცხადებების დონეზე არ კმარა. ხელისუფლება იმდენს უნდა მიხვდეს, რომ ერთ პიროვნებას სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები და საერთო მიზანი არ უნდა გადააყოლოს. სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები არასდროს არ უნდა იყოს დამოკიდებული პერსონებზე. ეს, მე მგონი, თბილისშიც კარგად უნდა ესმოდეთ და კიევშიც. მით უმეტეს, როდესაც საერთო ამოცანები და მიზნები აქვთ სახელმწიფოებს.



ტუსკი: „დაჟინებით მოვუწოდებ კოლეგებს, ღარიბაშვილს სააკაშვილის გათავისუფლების საკითხზე ესაუბრონ“

ევროპარლამენტარი დონალდ ტუსკი ამბობს, რომ აპირებს, კოლეგებს მოუწოდოს, ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების საკითხზე ისაუბრონ.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე, მე დაჟინებით მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან განიხილონ საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების საკითხი, რომელმაც დაიწყო საქართველო-ევროკავშირის ასოცირებაზე მოლაპარაკებები“ – დაწერა დონალდ ტუსკმა ტვიტერზე.

შსს-მ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 9 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე 9 პირი დააკავეს.

დაკავებულები არიან: 1992 წელს დაბადებული გ.ლ. (მეტსახელად „აბაშა“), 1993 წელს დაბადებული ბ.ჟ., 1984 წელს დაბადებული გ.გ., 1992 წელს დაბადებული გ.მ. (მეტსახელად „ბუბლიკა“), 1989 წელს დაბადებული დ.გ., 1990 წელს დაბადებული გ.კ., 1997 წელს დაბადებული გ.თ., 1962 წელს დაბადებული ნ. ჩ. (მეტსახელად „მეგრელა“) და 1991 წელს დაბადებული დ.ს. მათ ბრალი „ქურდული სამყაროს“ წევრობაში, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერასა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვაში ედებათ.

დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ „ქურდული სამყაროს“ წევრები: გ.ლ., ბ.ჟ. და გ.გ., საზღვარგარეთ მყოფი „კანონიერი ქურდის“ – ი. ყ.-ის დავალებითა და საკუთარი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით, თავისთვის და „ქურდული სამყაროსთვის“ სარგებლისა და უპირატესობის მისაღებად, „ქურდული სამყაროს“ ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, 2021 წლის მაისის თვიდან, ორგანიზებას უწევდნენ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მომუშავე, თვითდასაქმებული კერძო ტაქსების მძღოლებისგან ე.წ. ქურდული საერთოს შეგროვებას.

აღნიშნულის განხორციელების მიზნით, ისინი „ქურდული სამყაროს“ მხარდამჭერ ტაქსის მძღოლებს – გ.მ.-ს, დ.გ.-ს და გ.კ.-ს, რომლებმაც იცოდნენ „ქურდული სამყაროს წევრების“ საქმიანობის შესახებ, ასევე, აეროპორტის ტერიტორიაზე მომუშავე სხვა თვითდასაქმებულ ტაქსისტებს სთხოვდნენ ე.წ. ქურდულ საერთოში შეეტანათ მათ მიერ გამომუშავებული თანხის ნახევარი, რის სანაცვლოდ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე შეუზღუდავი მუშაობის საშუალება მიეცემოდათ.

„ქურდული სამყაროს“ წევრები – გ.ლ., გ. გ. და ბ. ჟ. სისტემატურად აკონტროლებდნენ, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე კერძო ტაქსით მუშაობის უფლება ჰქონოდათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ე.წ. ქურდული საერთოსთვის თანხას იხდიდნენ.

„ქურდული სამყაროს“ აღნიშნულ წევრებსა და იმ მძღოლებს შორის, რომლებიც მათ თანხას არ უხდიდნენ, დაპირისპირება წარმოიქმნა. 2021 წლის აგვისტოში, არსებული დავის თავის სასარგებლოდ გადასაწყვეტად და „ქურდული სამყაროს“ წევრებზე გავლენის მოხდენის მიზნით, ნ. ჩ. და დ.ს. გაემგზავრნენ თურქეთში, სადაც შეხვდნენ ქართველ „კანონიერ ქურდ“ თ.ხ.-ს, რომელმაც დავა მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მოგვიანებით, დაპირისპირებული მხარეები შეხვდნენ ერთმანეთს, რა დროსაც ნ.ჩ.-ს და მის მომხრე მძღოლებს „ქურდული სამყაროს“ წევრებმა კვლავ აუკრძალეს აეროპორტის ტერიტორიაზე საქმიანობა.

პოლიციამ, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ, ასევე ამოღებულია ფული და არაოფიციალური დოკუმენტაცია.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე პრიმა-3 მუხლის მეორე ნაწილით და 223-ე პრიმა-4 მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

გვარამია: „ნამდვილად არ მეგონა, მოსამართლე აცილებაზე უარს თუ იტყოდა“

გვარამიას პროცესზე, რომელიც რუსთავი 2-ის ქონების გაფლანგვას ეხება, დაცვის მხარის შუამდგომლობის მიუხედავად, მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ აცილებაზე უარი განაცხადა.

როგორც საქმეზე ბრალდებული გვარამია აცხადებს, არ ეგონა მას, ჩხიკვაძეს პროფესიული სინდისი იმის უფლებას მისცემდა, რომ თავი არ აეცილებინა:

„ძალიან მაღალი კვალიფიკაციის მოსამართლეა ბატონო ჩხიკვაძე და ნამდვილად არ მეგონა თუ შეძლებდა, პროფესიული სინდისი თუ მისცემდა უფლებას, რომ ეს არ გაეკეთებინა. რომ არ აიცილა, ეს ცალკე საკითხია, დასაბუთება იყო სრულიად გამაოგნებელი, უნდა შეიტანო იურიდიული ფაკულტეტების სახელმძღვანელოებში, როგორი არ უნდა იყო მოსამართლე აცილების შუამდგომლობის განხილვის დროს. მთავარი შედეგი, აღმოჩნდა, რომ მე თურმე მასამართლებს არა ლაშა ჩხიკვაძე და არა პოლიტიკურად მიკერძოებული სასამართლო, არამედ ვინმე ზაზა გველესიანი, რომელიც არის რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი და რუსთავი 2 ყოფილა ჩემი სასამართლო. რუსთავი 2-ის დირექტორობიდან უკანონოდ გამათავისუფლეთ და რუსთავი 2 გადაიქცა ჩემ ბრალმდებლად. პროკურატურა არის რუსთავი 2 და მოსამართლე არის ზაზა გველესიანი. ეს აღმოჩნდა დღეს და რანაირად შეიძლება მე ამ ადამიანებს ვენდო“ – თქვა ნიკა გვარამიამ.

ადვოკატი: „ჩვენ თვალწინ შემოტანილი საჭმლის დიდი ნაწილი მიხეილ სააკაშვილმა ვერ მიიღო“

„ჩვენ თვალწინ შემოტანილი საჭმლის დიდი ნაწილი მიხეილ სააკაშვილმა ვერ მიიღო და იძულებული იყო, ნაწილი გადაეყარა, ნაწილი უკან გაეტანა ექთანს“ – ამის შესახებ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა შოთა თუთბერიძემ გორის სამხედრო ჰოსპიტლიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი განწყობის თვალსაზრისით უკეთესად არის, თუმცა ფიზიკურად არის სუსტად.

„რაც შეეხება კვებას, ჩვენ საკმაოდ დიდი ხანი ვიყავით მასთან და ჩვენ თვალწინ შემოტანილი საჭმლის დიდი ნაწილი მან ვერ მიიღო და იძულებული იყო, ნაწილი გადაეყარა, ნაწილი უკან გაეტანა ექთანს. არ ვიცი ამის მკურნალობა როგორ ხდება, მაგრამ ცხადია, რომ ამ მიმართულებით ჯერაც პრობლემები აქვს, – განაცხადა თუთბერიძემ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელმა მიხეილ სააკაშვილი გამოკითხა

გორის სამხედრო ჰოსპიტალში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელმა მიხეილ სააკაშვილი გამოკითხა.

გორის სამხედრო ჰოსპიტალში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის მიერ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოკითხვა დასრულდა.

როგორც გამომძიებელმა გიორგი მიქელაძემ განმარტა, კითხვები შეეხებოდა ყველა იმ გარემოებას, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის პირველი გამოკითხვის შემდეგ გამოვლინდა.

„მიხეილ სააკაშვილის გამოკითხვა შეეხებოდა პირველი გამოკითხვის შემდეგ მის მიერ და ასევე, საჯაროდ გავრცელებულ სხვა ინფორმაციებს. კითხვები შეეხო იმ გარემოებებს, რომელიც გამოიკვეთა პირველი გამოკითხვის შემდეგ, მათ შორის, მისი სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადებებიდან. ყველა პირი იკითხება თუ ვინმეს შემხებლობაშია, ან რაიმე ინფორმაციას თეორიულად შეიძლება ფლობდეს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პენიტენციური სამსახურისგან მოიპოვა მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად, – განაცხადა მიქელაძემ.

ვაზიანის სამხედრო დასახლებაში კაცმა ცოლი და სიდედრი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა

ადგილობრივების ინფორმაციით, ვაზიანის სამხედრო დასახლებაში კაცმა ცოლი და სიდედრი მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

არსებული ინფორმაციით, ვაზიანის სამხედრო დასახლებაში კაცმა ცოლი და სიდედრი მოკლა. როგორც ადგილობრივი „ინტერპრესნიუსთან“ აცხადებს, კაცმა ცოლს და სიდედრს ჭრილობა ყელის არეში ცივი იარაღით მიაყენა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება სსკ 11 პრიმა 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა მინისტრი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის „ბუსტერ“ დოზით აიცრა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში „ფაიზერის“ „ბუსტერ“ დოზით აიცრა.

ვახტანგ გომელაურთან ერთად, ვაქცინაცია ჩაუტარდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლებსაც.

შინაგან საქმეთა მინისტრი ვაქცინაციის პროცესში, ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შემოტანისთანავე ჩაერთო. მან სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან და სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლებთან ერთად „სინოფარმის“ პირველი დოზა მიმდინარე წლის 5 მაისს გაიკეთა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ვაქცინაციის ხელშეწყობის მიზნით, პროცესის დაწყებისთანავე თბილისსა და რეგიონებში, იმუნიზაციის ცენტრებში ვაქცინაციის კაბინეტები მოეწყო, რომლებიც შესაბამისი სამედიცინო საშუალებებით არის აღჭურვილი, რაც უზრუნველყოფს ვაქცინაციის პროცესის და მისი შემდგომი პერიოდის მეთვალყურეობის უსაფრთხო გარემოში ჩატარებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეუძლიათ, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, კვირის ნებისმიერ დღეს აიცრან „ფაიზერის“, „სინოვაკის“ ან „სინოფარმის“ ვაქცინით.

ამ ეტაპზე, სამინისტროს თანამშრომლების 80%-მდე უკვე აცრილია, მათ შორის უმეტესობა სრულად ვაქცინირებულია. მიმდინარეობს ბუსტერ დოზებით ვაქცინაციის პროცესი.

ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაში ბრალდებულს სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა

ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაში ბრალდებულს, სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

გერმანიის გენერალური პროკურორი დარწმუნებულია, რომ მკვლელობა პოლიტიკური მოტივით და რუსეთის სამთავრობო უწყების დაკვეთით არის განპირობებული.

ცნობილია, რომ დამნაშავე ბერლინში, საფრანგეთისა და პოლონეთის გავლით ყალბი პასპორტით ჩავიდა, მისი მარშრუტი კი, სატელეფონო სიმბარათის მეშვეობით დადგინდა.

საქმეზე სასამართლო განხილვა 14 თვე გაგრძელდა და ამ დროის განმავლობაში 50-ზე მეტი მოწმე დაიკითხა.

პოლიტიკა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბრიუსელში ესტონელ კოლეგას შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, ესტონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ კაია კალასს შეხვდა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებულ განსაკუთრებულ მეგობრულ ურთიერთობებს და ესტონეთის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, ისევე, როგორც ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მიმართ.

აღინიშნა მჭიდრო პარტნიორობა და ესტონეთის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში, რაც ხელს უწყობს ქართული ინსტიტუციების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას. ამ კონტექსტში აღინიშნა ახლახან მიღებული საქართველო-ესტონეთის განვითარების თანამშრომლობის 2021-2024 წლების სტრატეგია, რომლის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა დემოკრატიული სახელმწიფო სტრუქტურების და სისტემების გაძლიერება, განათლების ხარისხის გაუმჯობესება, მეწარმეობის მხარდაჭერა, განვითარების პროექტებში კლიმატსა და გარემოზე ფოკუსირება.

მხარეებმა ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის არსებულ წარმატებულ პოლიტიკურ დიალოგზე და პოსტპანდემიურ პერიოდში ორმხრივი კავშირების კიდევ უფრო გააქტიურების მნიშვნელობაზე. აღინიშნა წარმატებული პარტნიორობა ინოვაციების, ციფრული ტექნოლოგიებისა და განათლების სფეროში, ასევე თავდაცვის მიმართულებით. ხაზი გაესვა ეკონომიკური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მნიშვნელობას და ამ კუთხით არსებული პოტენციალის სრულად ათვისების აუცილებლობას.

შეხვედრისას, ყურადღება დაეთმო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტს და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ქართული მხარის მოლოდინია სამიტის პოლიტიკურ დეკლარაციაში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის აღნიშვნა, როგორიცაა ევროკავშირის ერთიან ბაზარზე თანდათანობით ინტეგრაცია, ასევე ევროკავშირთან სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ციფრული დაკავშირებადობის გაძლიერება, მათ შორის, შავი ზღვის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების გზით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ესტონელ კოლეგას მადლობა გადაუხადა ნატოში ინტეგრაციის გზაზე ესტონეთის მიერ გაწეული მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ საქართველო რჩება ალიანსის საიმედო პარტნიორად და განაგრძობს სვლას ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

შეხვედრისას, საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ რთულ ვითარებას, ასევე, საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას. კაია კალასმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ესტონეთის მტკიცე მხარდაჭერა ქართველ კოლეგას კიდევ ერთხელ დაუდასტურა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბრიუსელში სამუშაო სადილს დაესწრო, რომელიც ლიეტუვას რესპუბლიკის პრეზიდენტის გიტანას ნაუსედას სახელით „ასოცირებული ტრიოსა“ (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერების პატივსაცემად, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ფარგლებში გაიმართა.

შეხვედრისას საუბარი შეეხო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის დღის წესრიგსა და „ასოცირებული ტრიოს“ პრემიერ-მინისტრების ერთობლივ ვიზიტს ბრიუსელში, რომლის დროსაც განხილული იყო სამიტის პოლიტიკურ დეკლარაციაში ტრიოს ქვეყნებისთვის პრიორიტეტული საკითხების ასახვის მნიშვნელობა.

ხაზი გაესვა დეკლარაციაში ევროკავშირისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის სტრატეგიული მნიშვნელობის კიდევ ერთხელ დადასტურების აუცილებლობას, ასევე საქართველოსა და პარტნიორების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერის დაფიქსირებას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ქართული მხარე ელოდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების აღნიშვნას, როგორიცაა ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ეტაპობრივი ინტეგრაცია, ასევე ევროკავშირთან სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ციფრული დაკავშირების გაძლიერება.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი უკრაინაზე ზეწოლის ფაქტს უარყოფს

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე კარენ დემფერდმა უარყო რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული მოსაზრება, რომ აშშ უკრაინაზე ზეწოლას ახდენს, რათა დონბასს ავტონომია მიანიჭონ.

უკრაინა აშშ-ის მეგობარია და მასზე არავითარი ზეწოლა არ ხორციელდება.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ აღნიშნა, რომ ზეწოლა ხორციელდება რუსეთზე და ეს ხდება იმისათვის, რომ ვითარების დეესკალაცია მოხდეს.

ზელენსკი: „უკრაინა ნატოზე უარს არ იტყვის!“

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი აცხადებს, რომ რუსეთის მიერ მოცემულ

გარანტიებს ფასი არა აქვს. ზელენსკიმ ბუდაპეშტის მემორანდუმი გაიხსენა, როცა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის რუსეთმა, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის გარანტიები მისცა. მაგრამ ეს ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა.

უკრაინაში უცხო ქვეყნის სამხედროების წრთვნებზე დასწრება ოფიციალურად დააკანონეს

უკრაინის პარლამენტმა სამხედრო წრთვნებზე უცხო ქვეყნის სამხედროების დაშვება ოფიციალურად დააკანონა. ამას მხარი დაუჭირა დეპუტატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

პრორუსულმა „ოპოზიციურმა ბლოკმა სიცოცხლისათვის“ დადგენილების საწინააღმდეგოდ მისცა ხმა, მაგრამ აბსოლუტურ უმცირესობაში აღმოჩნდა.

პუტინმა მაკრონთან იჩივლა

შედგა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიერ პუტინისა და მისი ფრანგი კოლეგის ემანუელ მაკრონის სატელეფონო საუბარი. ამის თაობაზე კრემლის საიტი იტყობინება.

თანახმად ინფორმაციისა, პუტინმა განაცხადა, რომ უკრაინა მინსკის შეთანხმებებს არღვევს და დონბასში ვითარებაც დღითიდღე უარესდება.

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა კვლავ გაიმეორა, რომ სჭირდება წერილობით გარანტია იმისა, რომ უკრაინას ნატოში არ მიიღებენ.

ევროკავშირი გაფართოვდება

ევროკავშირი გაფართოვდება. მას შეუერთდება ჩრდილოეთ მაკედონია და ალბანეთი. ამას გარდა, ევროკავშირის ლიდერები ამზადებენ დეკლარაციას, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროპული პერსპექტივები კოსოვოს და ბოსნია-ჰერცოგოვინასაც გააჩნიათ.

პუტინი კვლავ გარანტიებს მოითხოვს

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი კვლავ გარანტიებს მოითხოვს. ამის შესახებ იტყობინება რადიო „თავისუფლება“. პუტინის აზრით, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ნატოში არ უნდა მიიღონ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დინამო ჩემპიონთა ლიგაში ისევ აგებს

წყალბურთის ჩემპიონთა ლიგაზე დინამო თბილისმა მე-5 მატჩი ჩაატარა და მე-5 მარცხი განიცადა. დეიან სტანოიევიჩის გუნდი ამჯერად სტუმრად სერბულ რადნიჩკისთან წააგო – 7:14.

არადა, ორივე გუნდი მატჩს მოგების გარეშე შეხვდა. თუ ქართულ გუნდს ბოლო ადგილისთვის თავის დაღწევა სურდა, უნდა მოეგო. თუმცა, ქართულმა კლუბმა მეტოქეს წინააღმდეგობა ვერ გაუწია – დინამოელებმა ყველა პერიოდი წააგეს და სოლიდური სხვაობითაც დამარცხდნენ.

როგორც გითხარით, დინამოს 5 ტურის შემდეგ ქულა არ მოუპოვებია და ა ჯგუფში ბოლო, მე-8 ადგილზეა. მომდევნო მატჩს კი, 22 დეკემბერს, თბილისში გამართავს და კიდევ ერთ კონკურენტ ნოვი ბელგრადს უმასპინძლებს.

პსჟ დუმს, უეფას უტევენ

ბოლო დროს უეფას შტაბ-ბინაში განვითარებული მოვლენები უკვალოდ რომ არ ჩაივლიდა, მთელი სპორტული სამყარო გრძნობდა. საქმე ეხება ჩემპიონთა ლიგის წილისყრას, რომლის პირველი შედეგები ანულირებული იქნა და ხელახლა ჩატარდა.

განსაკუთრებული ვნებათაღელვა მადრიდის რეალის ბანაკში გამოიწვია, ვისაც თავდაპირველი ბენფიკას ნაცვლად პარი სენ ჟერმენი ერგო.

რეალის პოზიცია კი, კლუბის სპორტულმა დირექტორმა, ემილიო ბუტრაგენიომ გაახმაურა:

– წილისყრის ხელახლა ჩატარება იყო გასაკვირი, უიღბლო და რთულად გასაგები. გავითვალისწინებთ მილიონ გულშემატკივარსა და მთელ საფეხბურთო სამყაროს, რომლებიც მოუთმენლად ელოდებოდნენ აღნიშნულ ღონისძიებას. პსჟ? ვითამაშებთ ისე, როგორც ყოველთვის. სრულად ვაანალიზებთ ჩემპიონთა ლიგის მნიშვნელობას კლუბისა და ქომაგებისათვის. ამასთანავე, კარგად ვაცნობიერებთ მომავალი მეტოქის სირთულესა და მათი ფეხბურთელების კვალიფიციურობას, თუმცა თავდაჯერებულნი ვართ და გვჯერა, რომ გუნდი 2 დიდებულ პაექრობას ჩაატარებს.

რეალი ხმაურობს, პარიზული გრანდი კი, რომლის თავდაპირველი მეტოქეც მანჩესტერ იუნაიტედი უნდა ყოფილიყო, დუმილს ამჯობინებს. თუმცა, არ დუმს ფრანგული მედია და პსჟ-ს გულგრილობას „სირცხვილი“ უწოდა.

ზუსტად იგივე სათაური გამოიტანეს ესპანურმა გაზეთებმაც. აპენინური მედია დარწმუნებულია, რომ ეს არის ანგარიშსწორება სუპერლიგის დამფუძნებლების და, პერსონალურად, ფლორენტინო პერესის მიმართ.

მარკა-ს მტკიცებით, გრძელდება „ომი“ უეფასა და რეალს შორის, რაც სათავეს იღებს აპრილის „პუტჩიდან“, როცა 12-მა კლუბმა ევროპული ფეხბურთის მმართველის ორგანოსგან დისტანცირება და სუპერლიგის დაარსება გამოაცხადა.

რეალი, ბარსელონა და იუვენტუსი – ეს ის 3 კლუბია, ვინც დღემდე არ დაგმო სუპერლიგის პროექტი და კვლავ სჯერა მისი განხორციელების.

თუმცა იმას, რომ მომხდარი უეფას მხრიდან ანგარიშსწორებაა, გაცილებით მყარი მტკიცებულება სჭირდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

მამაკაცმა გველების გასადევნად სახლი გადაწვა

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ დიკერსონში მამაკაცი შეეცადა სახლში დაბუდებული გველები გამოედევნა. შემთხვევით ხანძარი გააჩინა და მილიონ დოლარად ღირებული სახლი ბოლომდე დაწვა. აღსანიშნავია, რომ ამით მან ვერაფერს მიაღწია, ვინაიდან ქვეწარმავლები უვნებელი გადარჩნენ.

ნოემბრის ბოლოს მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, სახლში გველები შენიშნა. მან გადაწყვიტა ქვეწარმავლები ბოლით გამოედევნა და სარდაფში ქვანახშირის დაბოლებას შეუდგა, მაგრამ მის გვერდით აღმოჩნდა ადვილად აალებადი საგნები და მალე მთელი სახლი ცეცხლის ალში გაეხვია.

ხანძრის ჩასაქრობად ადგილზე 75 მეხანძრე მივიდა, თუმცა მათი მოსვლის მომენტისთვის სახლის სახურავი უკვე ჩამოიქცა. ახლოს არ აღმოჩნდა ჰიდრანტი, რის გამოც დროულად დახმარების აღმოჩენა ვერ მოხერხდა და სახლი ბოლომდე დაიწვა. მამაკაცმა კი მიზანს ვერ მიაღწია. როგორც გაირკვა, მართალია რამდენიმე ქვეწარმავალი დაიღუპა ხანძრის შედეგად, თუმცა მათი ნაწილი გადარჩა.

ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალი მილიონ დოლარს აღემატება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცმა აღნიშნული სახლი 1,8 მილიონ დოლარად შეიძინა. სახანძრო ინსპექციამ მომხდარი უბედურ შემთხვევად აღიარა.

შიშველმა პოლიციელებმა ძაღლი ყინულებში დაღუპვას გადაარჩინეს

ესპანეთში სამოქალაქო გვარდიის (პოლიციის გასამხედროებული ფორმირება) თანამშრომლებმა მოახერხეს, გადაერჩინათ ძაღლი, რომელიც ყინულებში იყო გაჭედილი. ისინი სრულიად გაშიშვლდნენ, გაყინულ ტბაში ჩავიდნენ და ცხოველი ამოიყვანეს.

აღნიშნული შემთხვევა ქალაქ ბადაგუასში მოხდა. მამაკაცი თავის საყვარელ ცხოველს ეთამაშებოდა. ის ჯოხს ისროდა, რათა შემდეგ ძაღლს მისთვის უკანვე მიეტანა. წლის ამ დროისთვის ანომალიური ყინვის გამო ქვეყანაში ტბები და წყალსატევები გაიყინა, ხოლო ყინულმა, რომელზეც ძაღლი აღმოჩნდა, მის სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩაიმტვრა. ძაღლმა ყინულიდან დამოუკიდებლად თავის დაღწევა ვერ მოახერხა.

ცხოველის პატრონმა სამაშველო სამსახური გამოიძახა. ადგილზე მისულ მაშველებს გაშიშვლება, ყინულიან წყალში ჩასვლა და ძაღლის ასე გადარჩენა მოუხდათ. აღნიშნული ინციდენტის შედეგად საბოლოოდ არავინ დაშავებულა.

ქალის მიერ ერთ ფუნტად ნაყიდი ბეჭედი უიშვიათესი ძვირფასეულობა აღმოჩნდა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრები ქალბატონის მიერ საქველმოქმედო მაღაზიაში სულ რაღაც ერთ ფუნტ სტერლინგად შეძენილი ბეჭედი უიშვიათესი ძვირფასეულობა აღმოჩნდა, რომლის ფასი მინიმუმ ორი ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

ქალმა მონაწილეობა მიიღო ბრიტანულ სატელევიზიო შოუში, რომელშიც ანტიკვარიატის შემფასებლები დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა რეგიონში ჩადიან და ადგილობრივ მოსახლეობას ხვდებიან, რათა მათი ნივთები და ძვირფასეულობა შეაფასონ. ასე მოუხდა სპეციალისტ ჯონ ბენჯამინს ქალის მიერ ერთ ფუნტად შეძენილი ბეჭდის შეფასება.

ანტიკვარმა განმარტა, რომ ბეჭდის უკანა მხარეს შესრულებული მზის სხივების გამოსახულება ტიპურია იმ საიუველირო ნაკეთობებისთვის, რომლებსაც 1790-იანიდან 1800-იანი წლების ჩათვლით ამზადებდნენ. მან დაამატა, რომ, დიდი ალბათობით, ღია ყვითელი 22– კარატიანი ოქროს ბეჭედი ინდოეთში იყო დამზადებული. ბენჯამინმა უძველესი სამკაული წინასწარ ორი ათას ფუნტ სტერლინგად შეაფასა.

ბრიტანელი ქალბატონი მოსმენილმა გააოგნა და აღიარა, რომ ბეჭედში ჩასმულ ძვირფას ქვებს ის, უბრალოდ, ფერადი მინის თვლებად მიიჩნევდა და იქვე აღნიშნა, რომ აღნიშნულ ბეჭედს ახლა უკვე დიდი სიამაყით ატარებს.

ნარკომოვაჭრეს თავის საქონელთან სურათის გადაღება ციხედ დაუჯდა

დიდი ბრიტანეთის ქალაქ ლივერპულში ნარკომოვაჭრემ სურათი გადაიღო თავის საქონელთან და 18 წლით ციხეში ამოყო თავი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას პოლიციელებმა ფოტოსურათზე დარჩენილი თითების ანაბეჭდების დახმარებით მიაგნეს.

ნათან ჰარდინგი და კრეიგ ო'ჰარა მიმდინარე წლის ივნისში მსხვილ დანაშაულებთან ბრძოლის საერთაშორისო ოპერაციის ფარგლებში დააკავეს. ისინი ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ. პოლიციამ აღმოაჩინა მტკიცებულება 193 კილოგრამი კანაბისის გაყიდვისა, რომლის ღირებულება დაახლოებით მილიონი ფუნტი სტერლინგია. ბრიტანელები ასევე სხვა სახეობის ნარკოტიკებითაც ვაჭრობდნენ და მათი გასაღებით 500 ათასი ფუნტი სტერლინგის მიღებას გეგმავდნენ.

პოლიციის წარმომადგენლების ინფორმაციით, მათ ფოტოსურათზე თითების ანაბეჭდების ანალიზით ჰარდინგის ვინაობის დადგენა მოახერხეს. მას შემდეგ, რაც დამნაშავეები დააპატიმრეს, სასამართლომ მათი საქმის მოსმენა 6 დეკემბრისთვის დანიშნა, თუმცა მათ გადაწყვიტეს, სასამართლოს არ დალოდებოდნენ და დანაშაული აღიარეს.

შედეგად სასამართლომ ჰარდინგს – 18 წლითა და ხუთი თვით, ხოლო ო'ჰარას ექვსწლინახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

კომპანიის ხელმძღვანელმა თანამშრომლები ვიდეოზარით გაათავისუფლა და შვებულებაში გავიდა

კომპანია Better.com-ის ხელმძღვანელმა ვიშალ გარგმა მის მიმართ თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლების გამო გამოთქმულ კრიტიკას ვერ გაუძლო და ერთკვირიანი შვებულება აიღო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დირექტორთა საბჭომ თანამშრომლებს დაუგზავნა წერილები შეტყობინებით, რომ გარგი შვებულებაში გავიდა იმ მოვლენების შემდეგ, რომლებიც ბოლო კვირას მოხდა. კომპანიამ ასევე განაცხადა, რომ სამუშაო კულტურის შესაფასებლად და მის გასაუმჯობესებლად მესამე მხარე დაიქირავა.

მიმდინარე წლის 1 დეკემბერს კომპანიის დამფუძნებელმა და იპოთეკის გაფორმების გენდირექტორმა 900 თანამშრომელი ერთი ვიდეოზარით გაათავისუფლა სამსახურიდან. თავისი სიტყვის ბოლოს გარგმა მადლობა გადაუხადა თანამშრომლებს, მათ წარმატებები უსურვა და ვიდეოკავშირი გამორთო. გარგი სოციალური ქსელების მომხმარებლებმა გააკრიტიკეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის პირველად არ ეხვევა ასეთ სკანდალში და რამდენიმე სასამართლო პროცესიც აქვს გადატანილი.

მყვინთავმა ფსკერზე 21 წლის წინ დაკარგულ მოზარდებს მიაგნო

ამერიკის ტენესის შტატში მყვინთავმა აღმოაჩინა მანქანა, რომელშიც 21 წლის წინ გაუჩინარებული ყმაწვილი და გოგონა იმყოფებოდნენ.

2000 წელს 18 წლის ერინ ფოსტერი და 17 წლის ჯერემი ბეხტელი უგზოუკვლოდ დაიკარგნენ. ბოლოს ისინი ავტომობილში მსხდომები ქალაქ სპარტაში შენიშნეს. გამოძიება წლების განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ ახალგაზრდების კვალს ვერსად მიაგნეს.

დაკარგული ადამიანების ძებნით დაკავებულმა და იუთუბიზე არხის მფლობელმა ჯერემი საიდსმა საკუთარი გამოძიება დაიწყო. მან ქალაქის წყალსატევების სია შეადგინა და სპეციალური მოწყობილობით მათი ფსკერის დათვალიერებას შეუდგა. ერთ-ერთ წყალსაცავში მან მანქანა აღმოაჩინა და წყალში ჩაყვინთა. შედეგად საიდმა 21 წლის წინ დაკარგულ მანქანას მიაგნო, რომელშიც ფოსტერი და ბეხტელი ისხდნენ.

მყვინთავმა აღმოჩენის შესახებ პოლიციას აცნობა. გამომძიებლებმა მტკიცებულებების მოპოვება დაიწყეს და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა დანიშნეს. დაღუპული ახალგაზრდების ოჯახის წევრებს სამართალდამცავებმა აღნიშნული ინფორმაცია უკვე მიაწოდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ავთანდილ ასათიანი: „სერბეთთან მატჩებში გამოჩნდება, რა მინუსები გვაქვს“

საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები რამდენიმე დღეა ამხანაგური მატჩებისთვის ემზადება. ავთანდილ ასათიანის გუნდმა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში მატჩისწინა ვარჯიში გამართა.

როგორც უკვე იცით, ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში ფუტსალის ნაკრებს წლის ბოლომდე 4 ამხანაგური თამაში აქვს დაგეგმილი – 16 და 18 დეკემბერს სერბეთთან და 21-22 დეკემბერს ყირგიზეთთან.

სერბეთთან შეხვედრებს გუნდის კაპიტანი ზვიად კუპატაძე გამოტოვებს, რომელიც გუნდს მოგვიანებით შეუერთდება.

საქართველოს ნაკრების მსგავსად, სერბეთიც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ემზადება, რომელიც ნიდერლანდებში 19 იანვრიდან – 6 თებერვლის ჩათვლით გაიმართება.

ავთანდილ ასათიანი:

– კარგია, რომ სპარინგები გვექნება. ეს ევროპის ჩემპიონატისთვის მზადყოფნაში მოგვეხმარება. აქცენტი იქნა გაკეთებული სერბეთის ძალიან ძლიერ ნაკრებზე, რომელიც ხუთეულში მოიაზრება. ეს უფრო იმიტომ გვინდოდა, რათა უფრო კარგად დაგვანახოს მინუსის მხარეები. ეს კარგია. ასევე კარგია, რომ მომდევნო მატჩები უკვე ყირგიზეთთან გვაქვს, რადგან უკვე საქმეში ვნახავთ ფეხბურთელებს და დავინახავთ, თუ რა გადავიტანეთ სერბეთთან მინუსების შემდეგ. ამასთან, მწვრთნელებიც მივალთ საბოლოო დასკვნამდე, თუ ვის დავეყრდნოთ ევროპის ჩემპიონატზე.

თუმცა, სამწუხაროდ, ვერა და ვერ ხერხდება ოპტიმალური შემადგენლობით თამაში. თასის მნიშვნელოვანი მატჩის გამო ვერ გვეყოლება ზვიად კუპატაძე და მის მდგომარეობას ვითვალისწინებთ. მაგრამ მისი არყოფნა ჩვენთვის დიდი პრობლემაა. არიან ტრავმირებულებიც: მძიმე ტრავმის გამო არ გვეყოლება ბინიო. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ვახტანგ ჯვარაშვილის თამაშიც, რომელიც ახლა შეკრებაზე არ არის. ასევე გაურკვეველია ტიმი საიოტის საკითხიც, რომელსაც მძიმე ტრავმის შემდეგ ჯერ ოპტიმალური ფორმა არ აღუდგენია. ყველა დანარჩენს რაც შეეხება, თავიანთ გუნდებში თამაშობენ, ფორმაში არიან და უნდა ვეცადოთ, ეს მატჩები გამოვიყენოთ და იმასთან მიახლოებული თამაში ვაჩვენოთ, როგორიც ევროპის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში აზერბაიჯანთან დაგვჭირდება.

საქართველოს ფუტსალის ნაკრების შემადგენლობა:

მეკარეები: ზვიად კუპატაძე (გაზპრომ იუგრა, რუსეთი), ალექსანდრე ჯამბურია (თელასი), თორნიკე ბუკია (კემი, ფინეთი);

წინა ხაზი: ჯანიკო გიორგაია, შოთა თოფურია, ირაკლი თოდუა, ნუკრი ჭუმბურიძე (ყველა თელასი), ვახტანგ კეკელია (სიპარი, ტაჯიკეთი), არჩილ სებისკვერაძე (გომელი, ბელარუსი), ელისანდრო (ბრაგა, პორტუგალია), გიორგი ღავთაძე (სიბირიაკი, რუსეთი), ბრუნო პეტრო (ხაენი, ესპანეთი), თალეს ფეიტოსა (კანდოსო, პორტუგალია), რონინიო (ჰალე-გოოიკი, ბელგია), გიორგი ქურდაძე (დინამო, გროდნო, ბელარუსი), ნიკოლოზ კურტანიძე, გიორგი ზუნტუროვი (ორივე პსპ).

ოთხივე ამხანაგურ შეხვედრას თბილისის ოლიმპიური სასახლე უმასპინძლებს. ქვეყანაში არსებული კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით, მატჩებზე დარბაზის ტევადობის 33 პროცენტის შესაბამისი გულშემატკივართა რაოდენობა დაიშვება. მატჩებზე დასწრება თავისუფალია.

სერხიო აგუერო: „ბოლო გოლი რეალთან გავიტანე, არც ისე ცუდია, არა?“

როგორც არითმიის აღმოჩენის შემდეგ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, ბარსელონას არგენტინელმა ფეხბურთელმა სერხიო აგუეროსთვის ფეხბურთის პროფესიონალურ დონეზე თამაში საფრთხის შემცველია. შედეგად, იძულებულია, საფეხბურთო კარიერა დაასრულოს.



აგუერომ პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც კლუბის პრეზიდენტი, ჟუან ლაპორტა, პეპ გვარდიოლა და ჩიკი ბეგირისტაინი ესწრებოდნენ.

სერხიო აგუერო:

– ძალიან რთული მომენტია, ეს არის ყველაზე რთული გადაწყვეტილება, რომელიც ოდესმე მიმიღია. ექიმებმა მირჩიეს, რომ ჩემთვის უმჯობესი იქნებოდა, თუ კარიერას დავასრულებდი. ეს გადაწყვეტილება ერთი კვირის ან 10 დღის წინ მივიღე. ბედნიერი ვარ იმ კარიერით, რომელიც მქონდა. ფეხბურთის თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ევროპაში თამაშს შევძლებდი.

მინდა, გითხრათ, რაიმე შანსის საპოვნელად ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ არ გამოვიდა.

მინდა, მადლობა გადავუხადო ჟურნალისტებს, რომლებიც მოვიდნენ. მადლობა იმ ადამიანებს, რომლებიც კარგად მეპყრობოდნენ და მადლობა მათაც, ვინც არც ისე კარგად მექცეოდა. მხოლოდ დადებით ამბებს ვიტოვებ. მადლობა ყველას. მადლობას ვუხდი ჩემს თანაგუნდელებს და მათ წარმატებებს ვუსურვებ, ისინი ძალიან კარგი თანაგუნდელები არიან და საუკეთესოს იმსახურებენ. მადლობა ჩემს ოჯახს, რომელიც თავიდანვე გვერდით მედგა.

არ ვიცი, რა მელის მომავალში. ვიცი ის, რომ ბევრი ადამიანი არსებობს ისეთი, ვისაც ვუყვარვარ და ჩემთვის საუკეთესო სურს.

რაც აქ ჩამოვედი, ყველა ძალიან კარგად მეპყრობოდა. ასეთი რამ სხვაგან არ გამომიცდია. აქ დიდებული გულშემატკივრები არიან, ამას ქუჩაშიც ყველასგან ვგრძნობდი.

ფეხბურთს თავაწეული ვტოვებ.

კოპა ამერიკის მოგება გამორჩეული მომენტი იყო. ბევრი არ მითამაშია, მაგრამ ბიჭებთან ერთად ვიყავი. ამ წარმატებას წლების განმავლობაში ვეძებდით. ძალიან ბედნიერი ვიყავი. და ბოლო გოლი რეალთან გავიტანე. ბოლო გოლისთვის არც ისე ცუდია, არა?

ჟუან ლაპორტა:

– შენს გვერდით ვარ, ისევე, როგორც იმ კლუბების წარმომადგენლები, რომლებშიც გითამაშია. მადლობა ბარსელონაში მოსვლისთვის. ახლა სწორი გადაწყვეტილება მიიღე, ჩვენ მხარს გიჭერთ.

შენ სახელგანთქმული ფეხბურთელი ხარ, დაბადებული გოლეადორად. ვისურვებდით, რომ უფრო ადრე მოსულიყავი, მაშინ, როდესაც ატლეტიკოში თამაშობდი.

ცხოვრების ამ ახალი ეტაპისგან სიამოვნებას მიიღებ, შენ ამას იმსახურებ. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ.

შეგახსენებთ, რომ აგუერომ ბარსელონაში სულ 5 მატჩის ჩატარება მოასწრო და მის ანგარიშზე ერთადერთი გოლია, რომელიც მადრიდის რეალს გაუტანა.

დიეგო მარადონას თასი ბოკა ხუნიორსს დარჩა

დიეგო მარადონას თასზე ბოკა ხუნიორსმა ბარსელონას პენალტებით 4:2 მოუგო. თამაში საუდის არაბეთის დედაქალაქ რიადში, მეფე საუდის უნივერსიტეტის სტადიონზე გაიმართა 1:1 დასრულდა.

თავიდან ბარსელონა იგებდა. ანგარიში მეორე ტაიმის მე-5 წუთზე ფერან ბლანკმა გახსნა. მან შესანიშნავი ბრუნით თავისგან მარჯვენა „ცხრიანში“ შეაგდო.

თამაშის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე ბოკამ გაქვითა. მარცხენა მცველმა ფრანკ ფაბრამ ბურთი სწრაფად ატარა და საჯარიმოში ესეკიელ სებალოსს გაუჭრა, რომელმაც დინამიური მომენტი შესანიშნავად დაასრულა.

შემდეგ დაინიშნა პენალტები, სადაც არგენტინელებმა მეტი სიმშვიდე და სიზუსტე გამოამჟღავნეს.

დიეგო მარადონამ 1982-84 წლებში ბარსელონას მაისურით 58 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 38 გოლი გაიტანა. მანამდე კი, დიდი დიეგო ბოკა ხუნიორსის ფეხბურთელი იყო: 40 მატჩში 28 გოლი.

შემდეგ, მარადონას კარიერაში იყო ნაპოლი, სევილია, ნიუელს ოლდ ბოისი, რის შემდეგაც 1995 წელს ბოკაში დაბრუნდა და ადრეულ მონაგარს 31 შეხვედრაში 7 გოლი მიამატა.

ქართველი ძალოსნების მოკრძალებული შედეგები

ტაშკენტში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე 102 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ძალოსანთა შორის ბ ჯგუფში ორი ქართველი გამოდიოდა – ირაკლი ჩხეიძე და ზაზა ლომთაძე.

ჩხეიძემ ატაცში 157 და 162 კილოგრამი დაძლია და ჯგუფში მე-2 ადგილი მოიპოვა. მე-2 მოძრაობაში ჩხეიძემ ჯერ 193, შემდეგ კი, 201 კილოგრამი აკრა და საუკეთესო შედეგი აჩვენა, მაგრამ ორჭიდის ჯამში (363) მაინც მე-2 დარჩა.

ლომთაძემ ატაცში 151, 155 და 158 კილოგრამი მე-5 ადგილი დაიკავა. აკვრაში კი, 187 და 193 კილოგრამს გაუმკლავდა და მე-3 ადგილი ერგო. მე-3 ადგილზე გავიდა ორჭიდის ჯამშიც (351).

თუმცა, შემდეგ ა ჯგუფის სპორტსმენები გამოვიდნენ და ჩვენები სულაც ათეულს მიღმა დარჩნენ.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისათვის საქართველოს ნაკრების ანგარიშზე 5 მედალია. 3 ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული შოთა მიშველიძეს, 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი კი რევაზ დავითაძის ანგარიშზეა.

შედეგები

14 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ნორვიჩი-ასტონ ვილა 0:2
სიტი-ლიდსი 7:0

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	17	13	2	2	40-9	41
2.ლივერპული	16	11	4	1	45-12	37
3.ჩელსი	16	11	3	2	38-11	36
4.ვესტ ჰემი	16	8	4	4	28-19	28
5.მანჩესტერი	16	8	3	5	26-24	27
6.არსენალი	16	8	2	6	21-22	26
7.ტოტენჰემი	14	8	1	5	16-17	25
8.ლესტერი	16	6	4	6	27-27	22
9.ასტონ ვილა	17	7	1	9	23-25	22
10.ვულვზი	16	6	3	7	12-14	21
11.ბრენტფორდი	16	5	5	6	21-22	20
12.ბრაიტონი	15	4	8	3	14-16	20
13.ევერტონი	16	5	3	8	20-28	18
14.კრ.პალასი	16	4	7	5	22-22	19
15.ლიდსი	17	3	7	7	17-32	16
16.საუთჰემტონი	16	3	7	6	14-24	16
17.უოტფორდი	16	4	1	11	21-31	13
18.ბარნლი	15	1	8	6	14-21	11
19.ნიუკასლი	16	1	7	8	17-34	10
20.ნორვიჩი	17	2	4	11	8-34	10

გერმანია. ბუნდესლიგა

შტუტგარტი-ბაიერნი 0:5
არმინია-ბოხუმი 2:0
ვოლფსბურგი-კიოლნი 2:3
მაინცი-ჰერტა 4:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	16	13	1	2	52-16	40
2.დორტმუნდი	15	10	1	4	36-23	31
3.ლევერკუზენი	15	8	3	4	37-24	27
4.ჰოფენჰაიმი	15	8	2	5	32-23	26
5.ფრაიბურგი	15	7	4	4	26-15	25
6.მაინცი	16	7	3	6	25-16	24
7.უნიონი	15	6	5	3	22-21	23
8.კიოლნი	16	5	7	4	26-27	22
9.ლაიფციგი	15	6	3	6	29-19	21
10.აინტრახტი	15	5	6	4	23-22	21
11.ბოხუმი	16	6	2	8	16-25	20
12.ვოლფსბურგი	16	6	2	8	17-25	20
13.გლადბახი	15	5	3	7	19-28	18
14.ჰერტა	16	5	3	8	17-33	18
15.შტუტგარტი	16	4	5	7	22-30	17
16.აუგსბურგი	15	4	4	7	16-25	16
17.არმინია	16	2	7	7	12-22	13
18.ფიურტი	15	1	1	13	13-46	4

ბელგია. ა დივიზიონი

სერკლი-სერენი 2:0
ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი 2:0
ოსტენდე-კორტრაიკი 0:2

მოტოციკლეტი. ჰრემიერლიგა

ჰიბერნიანი-დანდი 1:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-პანეთოლიკოსი 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

გახსენება

ტკივილიანი წელი შესრულდა, რაც გარდაიცვალა ქალაქ ზუგდიდის №13 სკოლის დამსახურებული პედაგოგი

დოდო გივის ასული ქირია

ქალბატონი დოდო სამი ათეული წელი ემსახურა თავის მშობლიურ სკოლას. იყო თავის საქმის კარგი მცოდნე, პროფესიონალი მასწავლებელი, ჭკვიანი, დინჯი, აუღელვებელი თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან ურთიერთობაში. მისი უდროოდ წასვლა ამქვეყნიდან დიდი დანაკლისია ჩვენთვის. მან დატოვა ღირსეული ოჯახი: მეუღლე, ბატონი იანი გვილავა, სამი ვაჟიშვილი თავიანთი ოჯახებით, ექვსი შვილიშვილი, უამრავი სანათესავო და სამეგობრო, რომლებიც ყოველთვის დიდი სიყვარულით მოიგონებენ მათზე მუდამ მზრუნველ დედასა და ბებიას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ოჯახის მეგობრები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ბაქტერიების მშთანთქმელი დამშლელი მიკროორგანიზმი; 2. ბრინჯით, ხახვით, ტყემლითა და მწვანილით შეზავებული მოხარშული ხორცის კერძი; 3. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. ფულის სარგებლით გამესესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ნავთობის საბადო კახეთში; 9. წმინდანად შენაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 10. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 11. ხელოვნების, მეცნიერების აღორძინება; 14. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 16. „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟი; 18. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

თარაზულად: 1. ციტრუსოვანი ხილი; 4. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ოთხჯერ აირჩიეს აშშ-ის პრეზიდენტად; 7. მიხეილ ჭიაურელის მხატვრული ფილმი; 8. უდიდესი ნეტარების მდგომარეობა ბუდისტური მოძღვრების მიხედვით; 12. გრძელყელიანი გოგრის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს; 13. ფულის გამოშვება; 15. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 17. წელიწადის მეთორმეტედი; 19. ზაზა ურუშაძის მხატვრული ფილმი; 20. პირობითი ნიშნების სისტემა საიდუმლო წერისთვის; 21. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პაგანინი; 2. ონაგატა; 3. მძივი; 4. ერქვანი; 5. პერგოლა; 10. ხონდრიტი; 11. თაყაიშვილი; 12. პროექტი; 15. პანიტერია; 16. ხეოფსი; 17. გამპერი; 20. დრაჟე.

თარაზულად: 6. საკანდელიძე; 7. დროზერა; 8. სპინოზა; 9. პირატი; 13. ბაშო; 14. ჰამერი; 18. პერინიონი; 19. ვალიო; 21. გრილი; 22. ფიზიკა; 23. ციხისძირი; 24. ტრაილერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კოდა; 2. ანაშა; 3. ცეისი; 5. სენატი; 6. ჯარგვალი; 9. ციმაკურიძე; 10. ფიუმიჩინო; 11. მანიფესტი; 14. სნო; 16. საცივი; 18. უშტი.

თარაზულად: 1. კელარი; 4. ფასკუნჯი; 8. სირტაკი; 12. ომარი; 13. ისრიმი; 15. ემბაზი; 17. ურო; 19. ბასილაშვილი; 20. სენტო; 21. დიზელი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0957

ევრო — 3.4873

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1034

100 რუსული რუბლი — 4.1942

ამინდის პროგნოზი 16 დეკემბრისათვის

სერხიო აგუერომ საფეხბურთო კარიერა დაასრულა

ბარსელონას არგენტინელმა ფორვარდმა სერხიო აგუერომ კარიერა დაასრულა და მან ამის შესახებ განცხადებაც გააკეთა. აგუეროს თქმით, ეს მისთვის ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მისი ჯანმრთელობა ყველაზე მნიშვნელოვანია და მან ეს გადაწყვეტილება სწორედ ამიტომ მიიღო: „ვწუხვარ, რომ გულშემატკივარს იმედი გავუცრუე, მაგრამ ასე იყო საჭირო და ჩემთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდია. ვამაყობ ჩემი კარიერით და მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პერიოდში ჩემ გვერდით იყო“.

ქართველი არბიტრი გარდაიცვალა

ცნობილი ქართველი მსაჯი მალხაზ ბეუქლიშვილი გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ბეუქლიშვილმა ეროვნულ ლიგაში 128 შეხვედრა, თასზე კი 42 მატჩი იმსაჯა და მას ყველა დიდ პატივს სცემდა ქართულ საფეხბურთო სამყაროში. ბოლო პერიოდში ის მსაჯების დამკვირვებლად მუშაობდა. მისი გარდაცვალება ქართული ფეხბურთისთვის და ქვეყნისთვის დიდი დანაკლისია.

მბაპეს პსჟ-სთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს

კილიან მბაპემ პსჟ-ზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდს შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება და ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ამ მიზანს მიაღწიონ და გულშემატკივარი გაახარონ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მბაპე მაინც აპირებს სეზონის ბოლოს გუნდის დატოვებას: „პსჟ-ს გულშემატკივარი იმსახურებს იმას, რომ ჩვენ ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ და ისინი ამას დიდი ხანია ელოდებიან. მომავალში არ ვიცი რა მოხდება, მაგრამ დღეს პსჟ-ს ფეხბურთელი ვარ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცს ზღვის ეშმაკისთვის პირში ფეხის ჩაყოფა სანანებელი გაუხდა

უელსელმა ენდი რისმა პლაჟზე ვარჯიშის დროს მკვდარი ზღვის ეშმაკი აღმოაჩინა.

მამაკაცის თქმით, მან შორიდანვე შენიშნა სანაპიროზე დაახლოებით ნახევარი მეტრი სიგრძის არსება. თავიდან იფიქრა, რომ მკვდარ სელაპს გადააწყდა.

– გადავწყვიტე, ის ფეხით გადამეტრიალებინა იმის გასარკვევად, თუ რა არსებასთან მქონდა საქმე და ვერ მივხვდი, რომ ამ დროს ფეხი მის უზარმაზარ პირში ჩავყავი, – იხსენებს უელსელი.

რისმა ნაპირზე გამორიყული არსება გადაატრიალა და ეს მალევე ინანა. მის წინ აღმოჩნდა ზღვის ეშმაკი, საშინელი შესახედაობის მსხვილი თევზი, რომელიც ზღვაში 550 მეტრიდან ორი ათას მეტრამდე სიღრმეში ბინადრობს. არსების გრძელმა და მჭრელმა კბილებმა მამაკაცის ფეხსაცმელი გახვრიტა და კბილები კაცს ფეხში შეესო, რის გამოც ის ფეხის გათავისუფლებას ვეღარ ახერხებდა. საბოლოოდ მან მაინც მოახერხა ზღვის ეშმაკის კბილებისგან ფეხის გათავისუფლება, ხოლო მის მიერ მიყენებული იარები სახიფათო არ აღმოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 დეკემბრისათვის

ვერძი – იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. **კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ასევე სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** – საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ პარტნიორებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ლომი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. საკუთარი ადგილი იცოდეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შეუფერებელი დროა. **სასწორი** – სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. დაუფიქრებელ, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არასასურველი შედეგი მოჰყვება. **ღრიანკალი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. საკუთარი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **თხის რქა** – სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები არ წამოიწყოთ. უმჯობესია, თუ დღეს ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებთ. **მერწყული** – დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი სახიფათოა. **თევზები** – დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე – ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

გვიან ღამით სახლში დაბრუნებული ნასვამი ქმარი სიბნელეში ხელის ცეცებით შუქის ჩამრთველს ეძებს. ლოგინში მწოლიარე ცოლი ცდილობს, მის მოძრაობას სწორი მიმართულება მისცეს:

– მარჯვნივ... ზევით... ცოტა დაბლა... არა, უფრო მარცხნივ, მიდი, მიდი, კიდევ ცოტა მარჯვნივ...

ამ დროს კედლის მეორე მხრიდან სიდედრის ხმა ისმის:

– შვილო, ნუ აწვალებ კაცს, ხელი მიაშველე, ხელი...

●●●

ცოლი მივლინებაში მყოფ ქმარს ურეკავს:

– ბიჭო, გურამ, ვირუსი შემეყარა, ვირუსი...

– აცალე, ქალო, ორი დღე, ნახავს, ვინც ხარ და თავისით გაგეყრება...

●●●

ექიმი პაციენტს მიმართავს:

– სასწრაფოდ უნდა დაიკლოთ წონაში. მკაცრ დიეტაზე უნდა დაჯდეთ. უარი უნდა თქვათ ცხიმიან ხორცზე, ტკბილეულზე, პურ-ფუნთუშეულზე, არავითარი ალკოჰოლი, სიგარეტი, ყავა, მინიმუმამდე შეამცირეთ სქესობრივი ურთიერთობები...

– და რაღა დარჩა?

– რა და დატკბით ცხოვრებით!

●●●

სკოლიდან დაბრუნებული ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, დღეს სკოლის დირექტორმა მკითხა, ჩვენ ოჯახში ერთადერთი ბავშვი ვარ თუ არა...

– ერთადერთი ხარ, ჩემო სიცოცხლევ, და მერე შენ რა უპასუხე?

– მეც ეგრე ვუთხარი, მან კი: „მადლობა ღმერთსო!“

●●●

ლაშქრობიდან სამეფოში დაბრუნებულ მხედართმთავარს მეფე ეკითხება:

– აბა, ჩემო ერთგულო სარდალო, მომიყევი, რა გააკეთე კარგი შენი მეფისთვის?

– თქვენო უდიდებულესობავ, თქვენი სახელის სადიდებლად ჩვენ გავანადგურეთ, დავანგრიეთ და გადავწვით ჩვენი სახელმწიფოს სამხრეთ საზღვრებთან მდებარე მიწაზე მცხოვრები ჩვენი მტრები.

– შენ რა, გაგიჟდი, – წამოხტა მეფე, – სამხრეთში ჩვენ მტრები არ გვყოლია.

– მართლა? მაგაზე არ ინერვიულოთ თქვენო უდიდებულესობავ, ახლა უკვე გყავთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ალექსანდრე ზაზარაშვილმა ვოკალის პედაგოგი აატირა

უკრაინული საბავშვო ხმის გამარჯვებულმა ალექსანდრე ზაზარაშვილმა მსოფლიოში საუკეთესო ვოკალის პედაგოგი შერილ პორტერი აატირა. ვიდეო ალექსანდრემ ათასობით გულშემატკივარს ინტერნეტით გაუზიარა.

ქართველმა მომღერალმა, რომელიც ამერიკაში კარგა ხანია იმყოფება, თავისი უნიკალური ვოკალური მონაცემებით შერილის გულწრფელი აღფრთოვანება დაიმსახურა.

ალექსანდრე ზაზარაშვილი:

– არ მჯერა, ესეც ჩემი დიდი სიურპრიზი თქვენთვის! ჩემი და მსოფლიოში №1 ვოკალის პედაგოგის შერილ პორტერის იუთუბ ვიდეო გაკვეთილი! ხელები მიკანკალებს სიხარულისაგან!

რუსო დაუშვილს კუთვნილი ბინა გადაეცა

„მასტერშეფის“ მეექვსე სეზონის გამარჯვებულ რუსო დაუშვილს პროექტის მთავარი პრიზი – მოგებული ბინა გადაეცა.

აპარტ დეველოპმენტმა „მასტერშეფის“ გამარჯვებულთან ხელშეკრულება გააფორმა, თბილისში მდებარე ბინაც აჩვენა და შიდა დაგეგმარებაში დახმარებაც აღუთქვა.

ლაშა გურგენიძე და კარინა ლისენკო „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ გაუშვეს

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ ნელ-ნელა ფინალს უახლოვდება და რიგით მეათე საიუბილეო სეზონში სულ უფრო ცოტა მონაწილე რჩება. ჟიურიმ ორჯერ გამოიყენა ვეტო – ერთხელ გოჩა ჩერტკოევმა, როდესაც გავარდნის კანდიდატები სალომე ფაჟავა და თი მაჭავარიანი იყვნენ, მეორედ ნინო სუხიშვილმა, როდესაც ქართული ტურის დასრულების შემდეგ გავარდნის კანდიდატები უნდა დაესახელებინათ.

მერვე საკონკურსო ტურში მონაწილეებს წინა სეზონების კონკურსანტები დაემატნენ – ანკა ვასაძე, ქეთი ხატიაშვილი, ამიკო ჩოხარაძე, ლიზა ყენია, გია ფერაძე, გიორგი გილიგაშვილი...

კონკურსანტებს აფასებდა ჟიური ირაკლი მაქაცარიას, ირმა ნიორაძის, ნინო სუხიშვილისა და გოჩა ჩერტკოევის შემადგენლობით. ჟიურისა და მაყურებლის გადაწყვეტილებით, გავარდნის კანდიდატები გახდნენ თი მაჭავარიანი და ერეკლე გირგვლიანი და ლაშა გურგენიძე და კარინა ლისენკო. გავარდნის კანდიდატების დასახელების შემდეგ, დამატებითი ერთი წუთის ამოწურვისას გაირკვა, რომ შემდეგ ტურში თი მაჭავარიანი და ერეკლე გირგვლიანი იცეკვებენ, ხოლო ლაშა გურგენიძე და კარინა ლისენკო შოუს მიღმა დარჩნენ.

„ნიჭიერმა“ კიდევ 3 ფინალისტი დაასახელა

„ნიჭიერმა“ რიგით მეორე ნახევარფინალს უმასპინძლა და კიდევ 3 ფინალისტი დაასახელა.

შოუს დასრულების შემდეგ, გადაცემის წამყვანებმა მაყურებლის რჩეული გამოავლინეს. მაყურებლის გადაწყვეტილებით, მათი რჩეული გახდა თინათინ ბასოშვილი, ხოლო ჟიურის რჩეული კი – დავით ლეკაშვილი და მომღერალი ექიმები.

საბავშვო ლიტერატურულმა პრემიამ „ნაკადული“ გამარჯვებულები დააჯილდოვა

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში დაარსებული საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადულის“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

გამარჯვებულები ოთხ ნომინაციაში გამოვლინდნენ:

წლის საუკეთესო პროზაული წიგნი – ტანტალა მეფის საშინაო თამაშები – ალექს ჩიღვინაძე, ანა ჯანელიძე.

წლის საუკეთესო პოეტური წიგნი – გამოიცნონ პატარებმა – ნათია ჯანაშია.

წლის საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი – მგელი მითებსა და ზღაპრებში – გიორგი ჯინჭარაძე. ნაკარქქია – ვარლამ ჯმუხაძე.

წლის საუკეთესო საგანმანათლებლო-შემეცნებითი წიგნი – უჩვეულო კვირადღე – მარიამ წიკლაური.

პრემია „ნაკადულის“ ჟიური შედგებოდა ხუთი წევრისგან: მაკა ლდოკონენი, ლელა კოტორაშვილი, სანდრო ასათიანი, პაატა პაპავა და სონია ელიაშვილი.

„ნაკადულის“ მოკლე სიაში ოთხ ნომინაციაზე წარდგენილი იყო 2020 წელს გამოცემული 13 წიგნი. თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულმა პრიზი და 2500-ლარიანი ფულადი პრემია მიიღო.

პრემია „ნაკადულის“ მიზანია, ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ინტერესის გაზრდა. ასევე, საბავშვო წიგნებზე მომუშავე ავტორების წახალისება და მათი შემოქმედების პოპულარიზება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მხარეთა თანასწორობის პრინციპი რაიმე კონფლიქტის დროს; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი კატისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 3. ალალბედზე მოქმედება; 4. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 5. ქალაქი იმერეთში; 10. სახელმწიფო ევროპაში; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 12. ისლანდიის პარლამენტი; 15. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. კანადის პრემიერ-მინისტრი; 17. აეროპორტი ბელგრადში; 20. ფულის ერთეული ყაზახეთში.

თარაზულად: 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა; 7. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. შტატი აშშ-ში; 9. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 13. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 14. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 18. ქართველი მხატვარი; 19. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 21. ქალაქის თვითმმართველობა; 22. საფრანგეთის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24. მითოლოგიური „მარადიული ურია“.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა